კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, საერთაშორისო ურთიერთობებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტი

გიორგი მეტრეველი

ირანის ისლამური რესპუბლიკის გეოსტრატეგიული ინტერესები ავღანეთში: იდეოლოგიური და რელიგიური გავლენის ფაქტორები

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ურთირთობის მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ვახტანგ მაისაია

საერთაშორისო ურთიერთობის და საერთაშორისო უსაფრთხოების ასაცირებული პროცესორი პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

თბილისი-2020

ანოტაცია

ირანის იდეოლოგიური და რელიგიური ფაქტორი განსაკუთრებით გაიზარდა 9/11 მოვლენების შემდეგ ავღანეთში, რაც ემსახურება მის გეოპოლიტიკურ ინტერესებს , ირანის ისლამური სახელმწიფოსთვის მნიშვნელოვანია შეამციროს დასავლეთის გავლენა აღნიშნულ რეგიონში, ამიტომაც ირანი აქტიურად იყენებს რბილ ძალას და ჰიბრიდულ ომს. ირანის ისლამური რესპუბლიკა აქტიურად არის ჩართული ავღანეთის სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებში, რადგანაც როგორც მეზობელი არასტაბილური სახელმწიფო, ავღანეთიდან მომდინარეობს კონკრეტული საფრთხეები, როგორც სიმეტრიული - აშშ-ს და თალიბანის გავლენების გაზრდა, ასევე არასიმეტრიული - ნარკოტრანზიტი და არასასურველი რელიგიურ-იდეოლოგიური წარმომავლობის (სალაფიზმი) . ირანის გროსტრატეგიული მოდელი შეიცვალა აშშ-ს სამშვიდობო ოპერაციების პირობებში, თეირანი ცდილობს შექმნას ბუფერი მის გარშემო რითაც დაიცავს თავის ბირთვს. ირანის გეოპოლიტიკური და საგარეო პოლიტიკა შეიცვლება მას შემდეგ როდესაც აშშ-ს და ნატოს ძალები დატოვებენ ავღანეთს , რადგან უფრო მეტად არასტაბილური გახდება ავღანეთი, ირანი ვეღარ შეძლებს ორმაგი თამაშის გაგრძელებას და მოუწევს კონკრეტული არჩევანის გაკეთება მხარი დაუჭიროს ხელისუფლებას თუ ტალიბანს ?

ნაშრომში განხილულია ირანის საგარეო პოლიტიკა ავღანეთში, მისი სტრატეგიული მიდგომები, ირანის ავღანეთსი გავლენის გაზრდის შემთხვევაში გამოწვეული საფრთხეები როგორც ახლო აღმოსავლეთისთვის ასევე შეერთებული შტატებისთვის და ნატოსთვის.

Annotation

Geostrategic interests of the Islamic Republic of Iran in Afganistan: Factors of Ideological and Religious Influence . Giorgi Metreveli

The ideological and religious factor of Iran has increased especially after the 9/11 events in Afghanistan, which serves its geopolitical interests, it is important for the Iran Islamic Republic to reduce influence of the West in the region, that is why Iran actively uses soft power and hybrid warfare. The Islamic Republic of Iran is actively involved in the military-political processes in Afghanistan, because there are specific threats that are coming from a neighbouring unstable state –Afghanistan: symmetrical threat – which means increasing the influence of the US and the Taliban, as well as an asymmetrical - drug smuggling and undesirable religious ideology (Salafism). Iran's greater strategy has changed due to US peacekeeping operations. In order to protect its core Tehran is trying to create a buffer zone around its borders. Iran's geopolitical and foreign policy will change after US and NATO forces withdraw from Afghanistan, as a predictable result Afghanistan would become more unstable and Iran will no longer be able to continue the double game, as a result Iran will be forced to make a choice to support Afghanistan's government or Taliban.

In this thesis I discuss Iran's foreign policy in Afghanistan and Iran's strategic approaches. I will also discuss what kind of increasing threats might appear for Middle East, US and NATO in case if Iranian influence in Afghanistan would rise.

სარჩევი

ანოტაცია 2

Annotation 3

სარჩევი 4

შესავალი 5

თავი I: ირანის ისლამური რესპუბლიკის გეოპოლიტიკური ამოცანები ცენტრალური აზიაში და ავღანეთის ფაქტორი. 16

1.1. ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის და სამხედრო სტრატეგიის პრირიტეტები „ახალი ცივი ომის“ პერიოდში (2014-2020). 20

1.2. ირანის ავღანეთში გეოპოლიტიკური ჩართულობის ისტორიული ასპექტები 22

თავი II: ავღანეთში არსებული გეოსტრატეგიული ვითარება და ირანის ჩართულობის გროსტრატეგიული დონე. 40

2.1. ავღანეთის გეოპოლიტიკური სიტუაციის მოკლე ანალიზი და ირანის ჩართულობის სტრატეგია 9/11 მოვლენების შემდეგ 45

2.2. ირანის გეოსტრატეგია აშშ-ს სამშვიდობო ოპერაციის პირობებში 49

2.3. ირანის ჩართულობის გროსტრატეგიული (დიდი სტრატეგია) ფაქტორი ნატოს საერთაშორისო ძალების გასვლის შემდეგ 63

დასკვნა 67

ბიბლიოგრაფია 71

შესავალი

ისლამური რესპუბლიკა ირანი (ირი; სპარსულად - Jomhuri-ye Islam-ye Iran), სადაც არჩეული პრეზიდენტი რეალურად არ არის უმაღლესი ხელისუფალი, კონსტიტუციურად მასზე მაღლა მდგომია, ხალხის მიერ აურჩეველი, სახელმწიფოს უმაღლესი რანგის პოლიტიკური და რელიგიური ლიდერი (რაჰბირი). პირველი რაჰბირი გახდა აითოლა რუჰოლა მუსავი ხომეინი(1902-1989). 1989 წლიდან დღემდე რაჰბირია აითოლა ალი ჰოსეინი ხამენეი (დაბ.1939). რევულუციის შემდეგ, სადავეები ხელში აიღეს შიიტმა რელიგიურმა ლიდერებ-მა (დასავლეთში ხშირად მათ კრებითად აითოლებს უწოდებენ, თუმცა ყველა მათგანი ამ წოდებას არ ფლობს).

მართალია, განვლილი ათწლეულებში მოხდა რელიგიური რეჟიმის გარკვეული შერბილება . ირანელი ქალების პროტესტები მოქმედი რეჟიმის მიმართ მოწმობს მზარდ მოთხოვნილებას თავისუფლებაზე, იმას, რომ ადამიანებს აღარ სურთ ცხოვრება მკაცრი რელიგიური ზედამხედველობის ქვეშ.

ამ შემთხვევაში ბევრია დამოკიდებული საგარეო ფაქტორზე: ჭარბმა ზეწოლამ დასავლეთის მხრიდან შეიძლება საწინააღმდეგო შედეგი მოიტანოს , გააძლიეროს ირანის იზოლაციონიზმი და რელიგიური რადიკალიზმი . ამ ჩაკეტილობის ფონზე უფრო მეტად გაზრდის თავის რელიგიური და იდეოლოგიურ გავლენას ,,ავღანეთზე" გეოსტრატეგიული მიზნების შესასრულებლად და სამოქმედო არეალის გასაფართოებლად.[1]

[1] გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი. ტ. 1. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018 გვ. 138

ირანში ისლამურმა რევულუციამ შეცვალა მთლიანად ქვეყნის გეოპოლიტიკური ინტერესები, აშშ-სა და ისრაელისგან შექმენს მტრული ხატი როგორც, ,,დიდი'' და ,,პატარა სატანა'' ეს ყველაფერი მანიშნებელი იყო რომ, შაჰის დროინდელი პოლიტიკური ორიენტაცია მკვეთრ ცვლილებებს განიცდიდა. რევულუვიის შემდგომი პერიოდი ირანის ურთიერთობა დანარჩენ მსოფლიოსთან სირთულეებით აღსავსე აღმოჩნდა , უკვე 1979 წელს ისლამური რევულუციის ექსპორტის დაუფარავმა ზრახვამ ირი პოლიტიკურ იზოლაციაში მოაქცია. რევულუციის შიიტურ იდეალებს ძნელად ვინმე თუ მიიჩნევდა ზოგადისლამურად და მით უმეტეს, ზოგადსაკაცობრიოდ, მსოფლიოს ვერც ერთ რეგიონში, თვით ისლამური სამყაროშიც კი, ისლამური რევოლუციის ექსპორტის იდეამ ოფიციალური მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

არც გაერთიანებული ერების ორგანიზაციას და არც ერთ დიდ სახელმწიფოს არ გამოუხატავს პროტესტი აშკარა აგრესიის გამო, როდესაც 1980 წელს სადამ ჰუსეინის დროინდელმა ერაყმა გამოგონილი საბაბით (სასაზღვრო დავა) და ფარული ზრახვით ((ნავთობით მდიდარი, არაბებით დასახლებული სამხრეთ-დასავლეთ ირანის ხუზესთან ანექსია), ომი დაუწყო ირანს. მიუხედავად უზარმაზარი მსხვერპლისა (ორივემ მხარემ მილიონამდე ჯარისკაცი დაკარგა, დაჭრილ-დასახიჩრებული ბევრად მეტი იყო) ომი 1988 წელს ნულოვანი ტერიტორიული შედეგით დასრულდა, status quo-ს აღდგენით.

ერაყის ინიციატივით აღდგა ურთიერთობა 1990 წელს მაგრამ ირანი ვერ ივიწყებს მათ თავდასხმას დღემდე .

თანამედროვე ირანი ცდილობს ითამაშოს რეგიონში ლიდერის როლი, ამის ობიექტურ საფუძვლად მიაჩნია ქვეყნის დიდი ტერიტორია, მდიდარი ბუნებრივი რესურსები (მათ შორის ნავთობი, გაზი, ურანი), დიდი და საკმაოდ განათლებული მოსახლეობა, სამხედრო პოტენციალი.

90-იანი წლების ბოლოს ირანმა სცადა საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან კონტაქტის ხელახალი დამყარება, ირანისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო 1991 წელს დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა საუდის არაბეთთან, თუმცა ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მეგობრულისგან ძალიან შორსაა და დიპლომატიური ურთიერთობა 2017 წლიდან ისევ გაწყდა -საუდის არაბეთი, ბაჰრეინი და გას-ი -ირანის მიმართ მტრულადაა განწყობილი. საამიროები დღემდე მიიჩნევენ, რომ ირანი ძალით დაეუფლა მათ კუთვნილ სამ კუნძულს სპარსეთის ყურეში. საუდის არაბეთი და ბაჰრეინი ირანს ადანაშაულებენ თავიანთი შიიტური მოსახლეობის (ბაჰრეინში ის უმრავლესობაა) ანტისამთავრობო გამოსვლების ორგანიზაციაში. ირანის და ზემოხსენებული არაბული კოალიციას მძაფრი დაპირისპირება აქვთ სამოქალაქო ომში ჩათრეულ იემენში. სპარსეთის ყურის ქვეყნებიდან ირანს ნორმალური ურთიერთობა აქვს ქუვეითთან და ბოლო დროს ყატართან.

დღევანდელი ირანისთვის ყველაზე მისაღები მეზობელია რუსეთის ფედერაცია , რომელთანაც მას არ აქვს საერთო სახმელეთო საზღვარი: მათ მეზობლური ურთიერთობა კასპიის ზღვის მეშვეობით აქვთ. ისინი დაინტერესებულნი არიან შექმნან ჩრდილოეთ-სამხრეთის სატრანსპორტო კორიდორი (ყველაზე მოკლე გზა აზერბაიჯანზე გადის): რუსეთი და ირანი სამხრეთ კავკასიაში თავის სტრატეგიულ პარტნიორად მიიჩნევენ სომხეთის რესპუბლიკას; სირიაში ორივე ქვეყანა მხარს უჭერს ბაშარ-ალ ასადის რეჟიმს. აღსანიშნავია რომ ირი არანაირ დახმარებას არ უწევდა ისლამის დროშით მებრძოლ ჩეჩენ სეპარატისტებს სამხრეთ რუსეთში.

ირანისთვისაც და რუსეთისთვისაც ნომერ პირველი მტერია ამერიკა, რასაც არც ერთი უარყოფს და ისინი ყოველთვის ეცდებიან უპირატესობა მოიპოვონ აღმოსავლეთ რეგიონში, უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ საყრდენს წარმოადგენდა ავღანეთი დასავლეთისთვის , ვნახოთ მოვლენები როგორ განვითარდება დატოვებს თუ არა ამერიკა ავღანეთს , მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს ეს ორი ქვეყანა და განსაკუთრებით

ირანი უფრო და უფრო გაზრდიან ინტერესს და გავლენას ავღანეთზე რათა მოაქციონს საკუთარი ზეგავლენის ქვეშ და გამოიყენონ დასავლეთის წინააღმდეგ.[2]

თემის აქტუალობა:

ირანის ავღანეთის მიმართ ინტერესები განსაკუთრებით საყურადღებოა და მნიშვნელოვანია, როგორც ახლო აღმოსავლეთისთვის ასევე ნატოსთვის და ევროკავშირისთვის. განსაკუთრებით მის შემდგომ რაც უფრო მეტად იძაბება ურთიერთობა ირანსა და ამერიკიის შეერთებულ შტატებს შორის, (ტრმპის განცხადება: იმასთან დაკავშირებით, რომ სრულად უნდა მოხდეს შეიარაღებული ძალების გაყვანა ავღანეთიდან განსაკუთრებით გაიზრდება ინტერესი ირანის მხრიდან ავღანეთზე.) გააქტიურებს იდეოლოგიურ და რელიგურ გეგმებს რათა სრულ კონტროლში ამყოფოს ავღანეთის რეგიონი და ამით ირანს მიეცემა უფრო მეტი შესაძლებლობა გაზარდოს ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები ჩინეთთან რათა ნაკლებად მტკივნეულად გადაიტანოს ნატოს მიერ შეზღუდვები და საბოლოოდ შეძლოს სისრულეში მოიყვანოს თავისი გეგმა - გახდეს რეგიონში აღიარებული ლიდერი შექმნას ბუფერული ზონები , ბირთვის ძირითადი ნაწილის დასაცავად და განავითაროს ბირთვული პროგრამა .

ირანის ბირთვულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბება გამოიწვევს: მსოფლიოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან კრახს, კონტროლის დაკარგვას აღმოსავლეთ რეგიონში, ტერორისტული აქტების გაზრდას , ნარკოტიკების და იარაღის გაუკონტროლებელ ვაჭრობას, ირანი ამ ყველაფრის მერე შეეცდება თავისი

[2] გაჩეჩილაძე, რევაზ. ახლო აღმოსავლეთი. ტ. 1. გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები. თბილისი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2018 გვ.139-141

იმპერიალისტური იდეების განხორციელებას, რაც ბევრი სახელმწიფოს დააყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ.

რომელიც უკვე ძალიან საშიში და სახიფათო გახდება და მნიშვნელოვნად დამოკიდებული გახდება საერთასორისო უსაფრთხოება ირანზე, ეს თუ ასე მოხდება აუცილებლად მივა მთელი საერთაშორისო საზოგადოება დიდ ჩიხში საიდანაც გამოსვლა უმტკივნეულო არ იქნება . თუ ირანი შეძლებს ხელისუფლებაში მოვიდეს პრო-ირანული მთავრობდა და განახორციელებს მის იდეოლოგიას ავღანეთში შეძლებს თავისი გეგმების შესრულებას.

აქედან გამომდინარე თემა აქტუალურია.

თემის მიზნები და ამოცანები:

ჩვენი კვლევის მიზანია ჩვენს მიერ მოპოვებული მასალების საფუძველზე სიღრმისეულად შევისწავლოთ და გამოვიკვლიოთ ირანის ისლამური რეპუბლიკის გეოსტრატეგიული ინტერესები ავღანეში .იდეოლოგიური და რელიგიური ფაქტორების გაზრდით გამოწვეული საერთაშორისო საფრთხეები. ჩვენი ამოცანაა გამოვიტანოთ შეძლებისდაგვარად სწორი დასკვნები იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოჰყვება პრო-ირანული პოლიტიკოს გაძლიერებას ავღანეთში . რადგან ირანი საფრთხეს წარმოადგენს არა ერთი რომელიმე ქვეყნისთვის, არამედ მთელი რეგიონისთვის. და თუ ის შეძლებს მარტივად ბირთვული პროგრამის განვითარებას ეს უკვე არა მხოლოდ რეგიონისთვის ,არამედ მთელი მსოფლიოსთვის სერიოზული გამოწვევა იქნება.

საკვლევი კითხვები:

1) როგორ განისაზღვრება ირანის გეოსტრატეგიული ინტერესების ავღანეთის მიმართ 9/11 მოვლენის შემდეგ?

2) როგორია ირანის ჰიბრიდული ომის სტრატეგია ავღანეთიდან წამოსული სამხედრო საფრთხეების პრევენციის და აღკვეთის კუთხით?

3) როგორ იყენებს ირანი „რბილი ძალის“ ფაქტორს ცენტრალურ აზიაში რეგიონული ჰეგემონობის მისაღწევად?

4) როგორი შედეგი შეიძლება გამოდგეს ირანისთვის თუ ნატოს სამხედროები დატოვებს ავღანეთის რესპუბლიკას?

ჰიპოთეზა:

ირანის ისლამური რესპუბლიკა აქტიურად არის ჩართული ავღანეთის სამხედრო-პოლიტიკურ პროცესებში, რადგანაც როგორც მეზობელი არასტაბილური სახელმწიფო, ავღანეთიდან მომდინარეობს კონკრეტული საფრთხეები, როგორც სიმეტრიული - აშშ-ს და თალიბანის გავლენების გაზრდა, ასევე არასიმეტრიული - ნარკოტრანზიტი და არასასურველი რელიგიურ-იდეოლოგიური წარმომავლობის (სალაფიზმი) საფრთხეები. ამიტომაც ირანს გააჩნია მაღალი დონის ჩართულობის მექანიზმები, იგივე მისი „რბილი ძალის“ სტრატეგია, რათა წარმატებით დაიცვას მისი ეროვნული ინტერესები (სასიცოცხლო მნიშვნელობის) ავღანეთში.

კვლევის საგანი და ობიექტი:

კვლევის საგანი არის ახლო აღმოსავლეთის ორი ქვეყნის ურთიერთობა, ირანის ავღანეთის მიმართ პოლიტიკური, იდეოლოგიური და რელიგიური ინტერესები, რაც

მთავარია მათი ურთიერთობის ასახვა რეგიონალურ და მსოფლიო უსაფრთხოებაზე. ამავე დროს ჩვენი კვლევის საგანია მათ შორის არსებული ხედვები ტერორიზმთან დაკავშირებით. კვლევის ობიექტია ავღანეთი, ირანის იდეოლოგიური და რელიგიური გავლენის სფეროები, ტერორიზმის საფრთხეები და რეგიონალური უსაფრთხოება.

კვლევის მეთოდები:

- ინტერდისციპლინარული მეთოდი;
- ისტორიულ აღწერილობითი;
- არსებული თეორიული მასალის განხილვა, ანალიზი და დასკვნების გამოტანა;
- ნარატიული ანალიზი;
- კონტენტ-ანალიზი.

თემის დამუშავების დროს გამოყენებული მეთოდოლოგია:

აღნიშნული ნაშრომში გამოყენებულია

ძალთა ბალანსის თეორია-ამ კონცეფციის მიხედით, იმის გამო რომ საერთაშორისო სისტემა ანარქიულია, თითოეული სახელმწიფოს ძირითადი ამოცანაა ბრძოლა თვითგადარჩენისთვის და თვითდამკვიდრებისთვის.

თანამშრომლობითი უსაფრთხოების- თეორია უკავშირდება ამერიკელ მკვლევარს რიჩარდ კოენს. სახელმწიფოები დაკავშირებულნი არიან ერთმანეთთან ოფიციალური და არაოფიციალური კავშირებით და ინსტიტუტებით, რომელთაც საერთო ფასეულობები გააჩნიათ. აგრეთვე ახორციელებენ თანამშრომლობას სამხედრო

საქმეში. რომელიც ასევე უსაფრთხოების სისტემის 4 რგოლს აერთიანებს.

სექიურითიზაციის კონცეფცია.

სექიურითიზაცია არის კონცეფხია, რომელიც იყო შექმნილი კოპენჰაგენის სკოლის ფარგლებში, აღნიშნული თეორიული კონცეფცია იკვლევს უსაფრთხოების საკითხებს პროცესის თვალსაზრისით, რომელშიდაც აქტორი (სახელმწიფო) ნებისმიერ პრობლემას განიხილავს, როგორც თავიანთი ქვეყნის უსაფრთხოების გამოწვევას.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, 1983 წლის დასაწყისში საერთაშორისო ურთიერთობებში ამერიკელმა სპეციალისტმა ბარი ბუზანმა თავის ნაშრომში „ადამიანები, სახელმწიფო და შიში„ ჩაუყარა საფუძველი უსაფრთხოების კონცეფციის გამოკვლევისთვის. შემდეგ ბ. ბუზანმა დაისვა მიზანი, შეესწავლა თუ როგორ ემუქრება გარკვეული ობიექტს საფრთხე, როგორ არის პოლიტიზირებული კონკრეტულ კონტექსტში და შემდეგ სექიურითიზაციას ახდენს.

„სექიურითიზაციის“ თეორიის ძირითად კომპონენტებს წარმოადგენს:

- აქტორი, რომელიც ქმნის პრობლემას (უფრო ხშირად სამთავრობო ან არასამთავრობო აქტორები, ასევე ცალკეული ინდივიდები და ჯგუფები, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ პოლიტიკასთან);
- „სექიურითიზაციის“ ობიექტი- საკითხი, ფენომენი, აქტორი, რომელსაც ემუქრება ეს თუ ის პრობლემა. „სექიურითიზაციის“ ობიექტი შეიძლება იყოს სახელმწიფო (სამხედრო უსაფრთხოება); ნაციონალური სუვერენიტეტი ან

იდეოლოგია (პოლიტიკური უსაფრთხოება); ნაციონალური ეკონომიკა (ეკონომიკური უსაფრთხოება); კოლექტიური იდენტურობა (სოციალური უსაფრთხოება); ბიოლოგიური სახეობები (გარემოს უსაფრთხოება);

- აუდიტორია- ყველა პროცესში ჩართულია მონაწილე, რომელსაც უწევს პრობლემის პოტენციურ საფრთხედ აღიარება.

„პოლიტიკური პრაგმატიზმის " თეორია („prisoner's dilemma"), რომლის ძირითადი სუბიექტი არის სახელმწიფო. რომელშიც მოთამაშეები მიისწრაფიან მიიღონ სარგებელი ერთმანეთთან თანამშრომლობით ან პირიქით ერთმანეთის გაცემით. ისევე როგორც ზოგადად თამაშის თეორიაში, დაშვებულია რომ მოთამაშე (ტუსაღი) საკუთარი სარგებლის მაქსიმალიზაციას ცდილობს და სხვების სარგებელზე არ დარდობს. ტუსაღის დილემაში „ჩაშვება" მკაცრად დომინირებს თანამშრომლობაზე, ამიტომ ერთადერთი შესაძლებელი წონასწორობა-ორივე მოთამაშის მიერ ერთმანეთის გაცემაა, მარტივი სიტყვებით მნიშვნელობა არ აქვს რას გააკეთებს მეორე მოთამაშე, ყოველი მოიგებს მეტს თუ გასცემს (ჩაუშებს) მეორეს, ცალ-ცალკე რაციონალური ქმედებით მოთამაშეები საერთო ჯამში არარაციონალურ გადაწყვეტილებამდე მიდიან.

"პოზიტიური რეალიზმის თეორია" სხვა ურთიერთობებისგან განსხვავებიტ ხატავს , საერთაშორისო ურთიერტოების სევდიან სურათს. საერთაშორისო ურთიერტობებში დანახულია როგორც მკაცრი კონკურენცია ქვეყნებს შორის, რომლებსაც არანაირი მიზეზი არ აქვთ, ერთმანეტს მიენდნონ მაშინ, როდესაც მათი არსებობის არსი, თვითგადარჩენაა ისეთ გარემოში, სადაც ერთის დანაკარგი მეორეს მონაპოვარია.

ჯონ მარშაიმერი გვთავაზობს რეალიზმის ყველაზე ნათელ და ამომწურავ დახასიათებას. იგი გამოყოფს ხუთ ძირითად მოსაზრებას რომელიც აღწერს რეალიზმის მიდგომას საერთაშორისო ურთიერთობებისადმი.

1. პირველი მოსაზრება ისაა, რომ საერთაშორისო სისტემა **ანარქიულია**. ანუ საერთაშორისო სისტემის მოწყობის პრინციპი არის ანარქიული, რაც იმას ნიშნავს, რომ სისტემა შედგება დამოუკიდებელი პოლიტიკური ერთეულებისგან (სახელმწიფოები) რომლებსაც არ ყავთ ზემდგომი ხელისუფლება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არ არსებობს უმაღლესი მმართველი ორგანო, ზესახელმწიფო, მაშინ როდესაც სუვერენიტეტი სახელმწიფოთა თნდაყოლილი თვისებაა.
2. მეორე მოსაზრება ისაა, რომ სახელმწიფოებს ბუნებრივად თან დაყვებათ აგრესიის იარაღი, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას ერთმანეთის წინააღმდეგდ, როგორც წესი ეს არის სამხედრო შეიარაღება. თუმცა, რომ არ იყოს იარაღი რალიზმი ამბობს რომ საომრად ხელ-ფეხს გამოიყენებდნენ.
3. მესამე მოსაზრება ისაა, რომ სახელმწიფოები არასდროს არ არიან დარწმუნებულნი, თუ რა განზრახვა ამოძრავებს სხვა სახელმწიფოს, კერძოდ არც ერთ სახელმწიფოს არ აქვს გარანტიაიმისა, რომ მის წინააღნმდეგ აგრესიულ იარაღს არ გამოიყენებს მეორე სახელმწიფო.
4. მეოთხე მოსაზრება ისაა, რომ სახელმწიფოთა ძირითადი მამოძრავებელი მოტივია არის თვითგადარჩენა, რადგან მათ სურთ სუვერენიტეტის შენარჩუნება.
5. მეხუთე მოსაზრება ამბობს, რომ სახელმწიფოები ფიქრობენ სტრატეგიულად იმაზე , თუ როგორ გადარჩნენ საერთაშორისო სისტემაში .სახელმწიფოები არიან უმეტესად რაციონალურები. თუმცა, ზოგჯერ შეიძლება ვერ განსაზღვრონ საქციელი, რადგან ისინი მოქმედებენ არასრული ინფორმაციის სამყაროში, სადაც პოტენციურ

მოწინააღმდეგეს გააჩნია საბაბი იმისა, რომ დამალოს თავისი ნამდვილი ძალა, ან სისუსტე და დამალოს თავისი ნამდვილი განზრახვები.

კვლევის თეორიულ პრაქტიკული მნიშნელობა:

ჩვენ შეძლებისდაგვარად შევქმნით აკადემიური ხასიათის ნაშრომს, რომელიც დააკმაყოფილებს სამაგისტრო თემის მოთხოვნებს.ვფიქრობთ ჩვენს მიერ შესრულებული სამაგისტრო ნაშრომი გამოადგეთ ირან–ავღანეთის –ის ურთიერთობით დაინტერესბულ მკვლევარებს. და ასევე მაღალი რანგის მეთაურებს რომლებიც ემზადებიან საერთაშორისო მისიში ავღანეთში (RSM) მონაწილეობისთვის.

ნაშრომში გამოყენებულია სხვადასხვა ლიტერატურა, რომელიც ეხება ირანის გეოპოლიტიკურ ინტერესებს, რელიგიურ და იდეოლოგიური გავლენის სფეროებს ავღავეთზე.

- ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური გეოგრაფია. რევაზ გაჩეჩილაძე თბ. 2011 წლის გამომცემლობა , სივრცე , ხალხი და პოლიტიკა . თბ. 2018 წლის გამომცემლობა , გეოგრაფიული და ისტორიული ნიშანსვეტები წიგნში არსებული ინფორმაცია ეხება ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების გეოგრაფიულ სტრატეგიულ მნიშვნელობას და მათ არსებულ გამოწვევებს და ინტერესის სფეროებს .
- Iran and the West Regional Interests and Global Controversies Editors Rouzbeh Parsi and John Rydqvist special report march 2011. წიგნში განხილულია ირანის ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკა და ინტერესები ასევე სპარსეთის ყურის უსაფრთხოების კონცეფიცა და ავღანეთი როგორც აღმოსავლეთ და სამხრეთ აზიასთან დამაკავშირებელი მნიშვნელოვანი ხიდი.

- Iran's Influence in Afganistan (Alireza Nader, Ali G. Scotten, Ahmad Idrees Rahmani, Robert Stewart,Leila Mohnad) edition 2014. ამ ნაშრომში ყურადგღება აქვს დათმობილი ირანის რელიგიურ გავლენას შიიტურ მოსახლეობაზე ავღანეთში, პოლიტიკურ და პოზიტიურ გავლენის სფეროებზე, ნარკოტიკების და ლტოლვილების პრობლემებზე ავღანეთიდან და ასევე ირანის მიერ სამხედრო მხარდაჭერაზე ავღანელ მეამბოხეებზე.
- AN EXAMINATION OF THE "MOSAIC DEFENCE" IN A CONFLICT WITH THE WEST By Major D.W. Smith Par le major D.W. Smith MASTER OF DEFENCE STUDIES 2012 – 2013. ძირითადი ყურადღება ნაშრომში დათმობილია ირანის ახალი სტრატეგიაზე რომელსაც ქვია მოზაიკის თავდაცვა, და ასახულია შემავალი ასპექტები რომელსაც ირანი ამუშავებს ეფექტური თავდაცვისთვის 2005 წლიდან.

თავი I: ირანის ისლამური რესპუბლიკის გეოპოლიტიკური ამოცანები ცენტრალური აზიაში და ავღანეთის ფაქტორი.

ირანის ისლამური სახელმწიფო გზაჯვარედინზე ზის. ის აკავშირებს შუა აღმოსავლეთს, კავკასიასა, ცენტრალურ და სამხრეთ აზიას, ირანი ყოველთვის იბრძოდა საკუთარი გეოგრაფიული პოზიციების სასარგებლოდ და რისკების შესამცირებლად ,,დასაბალანსებლად'' . ირანის ბირთვი მდებარეობს დასავლეთ ზაგროსის მთიანეთში. ამ უსაფრთხო გეოგრაფიიდან, სპარსეთის იმპერია მთელს ირანის მთიან ტოპოგრაფიაში გავრცელდა, რაც მოიცავდა ალბორზს, სამხრეთ ზაგროსს და ირანის პლატოს. ირანის უპირველესი გეოგრაფიული გამოწვევა იყო მის საზღვრებში არსებული მრავალი საშიშროებისგან თავის დაცვა. არაბებმა, მონღოლებმა და თურქებმა სხვადასხვა დროს დაიპყრეს სპარსეთის სხვადასხვა ტერიტორიები, რამაც აიძულა სპარსეთი ეფიქრა ტერიტორიული კონტროლის გაფართოებაზე, ეს მნიშვნელოვანი იყო რომ შეექმნა ბუფერი , მისი ბირთვის დასაცავად. დიდების მწვერვალზე სპარსეთის იმპერია აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვიდან ჰინდუს კუშის მთებამდე იყო გადაჭიმული და ხატავდა თანამედროვე ევროპასა და აზიას.[3]

ამ ყოფილი იმპერიის აღდგენისადმი ლტოლვა ახლაც არ შენელებულა, ირანი აქტიურად ერევა ახლო მეზობლებთან შიდა პოლიტიკაში, ის მხარს უჭერდა ლიბანში ჰეზბოლას , ასადის რეჟიმს დამასკოში და შიიტებს ერაყში, ირანი ასევე იბრძოდა მისი ძირითადი ტერიტორიების შიგნით მდებარე სხვადასხვა ენისა და ეთნიკური ჯგუფების გაერთიანებისა და გაკონტროლებაზე. ზემოთ აღნიშნულ პროცესებს ხელს უშლიდა ქვეყნის რთული რელიეფი. თანამედროვე თეირანს ეხმარე მისი დიდი ნახშირწყალბადის რეზერვები; ირანი ამაყოფს იმით რომ მსოფლიოში მეოთხეა ნავთობპროდუქტებით და უდიდესი ბუნებრივი გაზით . XX საუკუნეში ბრიტანული , რუსული და ამერიუკული ინტერესები არა მხოლოდ ირანის სტრატეგიული ადგილმდებარეობსი გაკონტროლება მოიცავდა, არამედ ირანის მნიშვნელოვან

[3]ირანის გეოგრაფიული მდებარეობა გვ.1 https://www.geographyrealm.com/physical-geography-facts-about-iran/ ბოლო ნახვა . 27.06.2020 19.05.2020

ენერგეტიკულ რეზერვებსაც. თანამედროვე პერიოდში ენერგეტიკულ რესურსებზე შემოსავლების ზრდამ და ინტერესმა, განაპირობა ირანის მხრიდან ყურადღების გამახვილება ჰორმუზის სრუტის დაცვაზე და სპარსეთის ყურეზე კონტროლის გაფართოებაზე, რათა უზრუნველყოს მისი ძირითადი ტერიტორიების უსაფრთხოება გარეგანი საფრთხეებისგან.

ირანის აბმიციები ავღანეთში არ უნდა ჩაითვალოს ჰეგემონიურად . თეირანს არ სჯერა რომ მას შეუძლია მთლიანად ბატონობდეს თავის მეზობელს; ამის ნაცვლად მას გააჩნია გარკვეული ინტერესების დაცვის გეგმა ავღანეთთან მიმართებაში:

- უზრუნველყოს მისი აღმოსავლეთ საზღვრის დაცვა
- შეინარჩუნოს წყლის გადინება ავღანეთიდან ჰერათიდან
- წინააღმდეგობა გაუწიოს ნარკოტიკების შემოდინებას
- გააკონტროლოს ლტოლვილთა შემოდინება [4]

განსაკუთრებით თეირანისთვის მნიშვნელოვანია თავიდან აიცილოს პაკისტანის ტოტალური გამარჯვება და გაფართოება ავღანეთში. ირანი არის ის რეგიონალური ძალა რომელიც აქტიურად ეწინააღმდეგებოდა ორმხრივი უსაფრთხოების ხელშეკრულებას (BSA) ქაბულსა და ვაშინგტონს შორის. ირანის მთავრობა ცდილობს თავისი მიზნების მიღწევას მრავალფეროვანი გზით , ირანის კულტურული და რელიგიური ფასეულობები საშუალებას აძლევს განახორციელონ გავლენა მნიშვნელოვან ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფებზე , მათ შორის არიან ტაჯიკები და ჰაზარელები და მათი შესაბამის პოლიტიკური პარტიები. ირანი არის ასევე მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორი : მან ავღანეთს 500 მილიონი აშშ დოლარი შესთავადა განვითარების დახმარებაში და ავღანეთის ერთ-ერთი მთავარი სავაჭრო

[4] Engaging_Iran_on_Afghanistan_Ellen LaipsonThe Shia Factor for the Stabilization of Afghanistan, Iran's Response to Drugs from Afghanistan Transboundary Water Sharing: Iran and Afghanistan. edition 2012 pp.15-19

პარტნიორია. უფრო მეტიც ირანი ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს სხვადასხვა ავღანურ პოლიციასთან და შეიარაღებულ ჯგუფებთან.

ირანს და ავღანეთს ბევრი რამ აქვთ საერთო: საერთო ენა , ღრმა ისტორიული და კულტურული ფასეულობები და ზოგჯერ საერთო მტრები. ერთის სტაბილურობა და უსაფრთხოება დამოკიდებულია მეორის სტაბილურობაზე , არასწორი იქნება თუ ვივარაუდოთ, რომ მათი ურთიერთობა უშედეგოა .ზოგი ავღანელი ირანს თბილ მეზობლად თვლის და შესაძლოა მფარველადაც მიიჩნევდეს, ზოგი თვლის რომ ირანი ხისტად უნდა ჩაერთოს ირანის საქმეებში . კულტურული და რელიგიური კავშირი ირანსა და ავღანეთს შორის მტკიცეა და მნიშვნელოვან ბერკეტს წარმოადგენს თეირანისთვის. ავღანელი ცნობილი შიიტი ლიდერის თქმით ,, ირანი ამჟამად მძლავრად იმყოფება ავღანეთში , მაგრამ მისი ყოფნის უმეტესი ნაწილი არაოფიციალურია'' ავღანეთში არსებობს ორი დარი ოფიციალური სასაუბრო ენა რომელზეც დაახლოებით 50 პროცენტი საუბრობს ავღანური მოსახლეობის , მჭიდრო კავშირშია (სპარსულ) ირანის ოფიციალურ ენასთან. ირანელების და ავღანელთა უმეტესობას შეუძლიათ ერთმანეთთან კომუნიკაცია ადგილობრივი დიალექტიდან და აქცენტიდან გამომდინარე. უფრო მეტიც, მილიონობით სხვა ავღანელი, განათლებული ელიტის მრავალი წევრის ჩათვლით, ირანში ცხოვრობდენ, სწავლობდნენ და იცნობენ სპარსულ ენას . განსაკუთრებით იგრძნობა დარიული ტაჯიკების კავშირი ირანტან. გარდა ამისა ჩრდილო აღმოსავლეთ ავღანეთის ქალაქები როგორიცაა ქაბული დასახლებულია ტაჯიკებით ,ავღანელთა უმეტესობა მათ შორის ტაჯიკები, სუნიტი მუსლიმანები არიან, მაშინ როცა ირანელთა უმეტესობა 90-95 პროცენტი შინიტია. მიუხედავად ამისა, ავღანეთის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, შესაძლოა თითქმის 20 პროცენტი მიეკუთვნება შიიტურ სექტას. მათ შორის ჰაზარჯათი სადაც აზიური წარმოშობის ჰაზარების ტომები ცხოვრობენ , რეგიონი ბამიანში და მის მიმდებარე პროვინციებში. ჰაზარა შიიტების უდიდესი საზოგადოებაა

ავღანეთში , 2001 წელს ტალიბების დამხობის შემდეგ , გამოჩნდნენ როგორც მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური მსახიობები.[5]

1.1. ირანის ისლამური რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკის და სამხედრო სტრატეგიის პრირიტეტები „ახალი ცივი ომის“ პერიოდში (2014-2020)

ირანის საგარეო პოლიტიკა პრავალი ფაქტორების პროდუქტია და მის შესაბამისად წარმართავს საერთაშორისო ურთიერთობებს, როგორიც არის : ირანის იდეოლოგია, ხელმძღვანელი პირების მიერ აღქმული საფრთხეები და ირანის ეროვნული ინტერესები. ზოგიერთი ექსპერტი ირწმუნება, რომ ირანის საგარეო პოლიტიკის მიზანია ახლო აღმოსავლეთში აშშ-ს, ირანის და საუდის არაბეთის ალიანსის და სუნიტი მხარდამჭერების ძალაუფლების დამხობა.

სხვები ირანის საგარეო პოლიტიკას განმარტავენ როგორც მცდელობას დაიცვან ამერიკის შეერთებული შტატებისგან და მისი მოკავშირეებისგან , რათა არ მოხდეს მათი დაშინება და რეჟიმის ცვლილება, შესაძლოა მათი პოლიტიკა დამატებით წარმოადგენდეს ირნის საერთაშორისო პრესტიჟის აღდგენა , ძველი სპარსეთის იმპერიის მოგონებების ,,დიდებულების'' გრძნობის აღდგენა .2010 დან ირანის საგარეო პოლიტიკა ასევე მიმართული იყო საერთაშორისო სანქციების შედეგის შემსუბუქების მცდელობა რაც დღემდე გრძელდება. ირანი იყენებს სხვადასხვა მეთოდეს და მექანიზმებს თავისი საგარეო პოლიტიკის განსახორციელებლად,

[5] Iran's Influence in Afganistan (Alireza Nader, Ali G. Scotten, Ahmad Idrees Rahmani, Robert Stewart,) Close but Not Exclusive Ties with the Afghan Tajik and Shia wdition 2014 pp.5-8

ზოგიერთი მათგანი მოიცავს შეიარაღებული ორგანიზაციების მხარდაჭერას, რომლებიც მონაწილეობენ ტერორიზმის საერთაშორისო აქტში.

როგორც ირანის საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტი , ირანი უზრუნველყოფს შეიარაღებას , წვრთნასა და სამხედრო მრჩევლობას მოკავშირეებთან, ასევე შეიარაღებული ორგანიზაციების მხარდაჭერას. ირანი ამერიკის შეერთებულ შტატების სიაში მოხვდა ტერორიზმის სპონსორების („ტერორიზმის სიაში'') 1984 წლის იანვარში. (დანარჩენი ორი ქვეყანაა სირია და სუდანი) ირანის მომხრე უცხოურ ტერორისტულ ორგანიზაციებს შეერთებული შტატები უწოდებენ (FTOs).

ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში საერთაშორისო ტერორიზმის შესახებ 2015 წლის ანგარიშში კვლავ უწოდეს ირანს „ტერორიზმის მთავარი სპონსორი'' 2015 წელს ირანმა მიაწოდა დახმარება ტერორისტულ ჯგუფებს , მათ შორის ფინანსური, ტრენინგის და აღჭურვილობის ჩათვლით -განსაკუთრებული დახმარება გაუწია მან ჰეზბოლას. ირანი კვლავ ღრმად იყო ჩართული სირიის კონფლიქტში და მჭიდროდ თანამშრომლობდა ასადის რეჟიმთან , გარდა ამისა მხარს უჭერდა ოპოზიცურ ჯგუფების თავდასხმას ბაჰრეინში. ისინი აქტიურად აწვდიან ტერორისტულ ჯგუფებს :შეიარაღებას, ფინანსებს და უზრუნველყოფდნენ სამხედრო მრჩევლებით. [6]

ხუთი ძირითადი ამძრავი რომელიც აყალიბებს ირანის სამხედრო სტრატეგიას:

- პირველი არის ისტორიული უნდობლობა, რომელიც აქვს ირანს - აშშ-ს მიმართ რამაც რეჟიმზე ცვლილება და სამხედრო კონფლიქტი შეინარჩუნა.

[6] Iran's Foreign Policy(Kenneth Katzman Specialist in Middle Eastern Affairs) November 25, 2015 (south Asia Afhganistan p. 24)

- მეორე არის სამხედრო თვითრწმენა : ირანს სურს რომ უზრუნველყოს საკუთარი უსაფრთხოება საგარეო მხარდაჭერის გარეშე.
- მესამე, ათწლეულების სანქციების გამო, საჭირო გახდა ხარჯების ოპტიმიზაცია და ძირძველი სამხედრო ტექნოლოგიების შემუშავება.
- მეოთხე იმის გათვალისწინებით, რომ მას აქვს საშიშროება ქვეყნის უსაფრთხოებაზე და რესურსებზე იძულებულია შეიმუშაოს ასიმეტრიული ომის სტრატეგია
- მეხუთე , ირანის გეოპოლიტიკური პოზიცია რეგიონში, რომელიც მასპინძლობს კონკურენტუნარიან და ზოგჯერ საპირისპირო ინტერესებს , რამაც გამოიწვია აშშ-ს ძლიერი ყოფნა, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ირანის რეგიონალური სამხედრო სტრატეგიის შემუშავებაში[7]

1.2. ირანის ავღანეთში გეოპოლიტიკური ჩართულობის ისტორიული ასპექტები

ირანში, აითოლა ხომინის ხელმძღვანელობით ისლამური რევულუცია დემთხვა 1979 წელს ავღანეთში რუსეთის თავდასხმას . ამ პერიოდს დაემთხვა საშინაო პრობლემები , მძევლების კრიზისი გამო აშშ -თან დაძაბული ურთიერთობა შემდეგ კი ერაყთან ომი. ხომენის ხელისუფლებამ მაინც შეინარჩუნა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან და მის სატელიტურ რეჯიმთან ქაბულში. ანტისაბჭოთა წინააღმდეგობის განმავლობაში, სანამ აშს, საუდის არაბეთი და პაკისტანი ძირითადად ცდილობდნენ პუშტუ მოჯაჰედების ზურგიდან ფრონტზე დაბრუნებას. ირანი ზოგადად მხარს უჭერდა სპარსულენოვან შიიტურ ჯგუფებს, ძირითადად ჰაზარებს. ამ მუჯაჰედებმა

[7] Iran's military strategy p.1 https://www.iiss.org/publications/survival/2019/survival-global-politics-and-strategy-december-2019january-2020/616-11-ajili-and-rouhi.20.05.2020

მიიღეს დაფინანსება , სწავლება, მარაგი დ იარაღი ირანში. 1988 წელს ირანმა გააძლიერა და გააერთიანა ჰაზარების რამოდენიმე ჯგუფი გააერთიანა (Gulbuddin Hekmatyar's Hezb-e Islami) ერთიანობის პარტიაში. ხოლო თეირანი ასევა განაგრძობადა ორგანიზაციის მხარდაჭერას ავღანეთის სამოქალაქო ომის დროს, რომელიც მოყვა ავღანეთიდან საბჭოთა კავშირის გამოსვლას (1989) წელს.

ირანი აღაშფოთა იმ ფაქტმა რომ მის აღმოსავლეთ საზღვარზე, შეიქმნა სუნიტური-ფუნდამენტალისტური პუშტუნური სახელმწიფო , ირანმა დიდ საფრთხედ მიიჩნია 1994 წელს თალიბების აწევა და 1996 წელს ქაბულის დაპყრობა, ირანი განიხილავდა როგორც სერიოზულ უსაფრთხოების, იდეოლოგიური და ეკონომიკური საფრთხე. ამრიგად , თეირანმა მხარი დაუჭირა ანტი-თალიბური კოალიციის შექმნას, რომელიც შედგება ძირითადად ტაჯიკების, უზბეკების და ჰაზარის ფრაქციებისგან - ჰეზბ-ე ვაჰატის ჩათვლით. ავღანეთის ხსნის ამ გაერთიანებულ ისლამურ ფრონტს, რომელსაც ასევე ჩრდილოეთ ალიანსს უწოდებენ, ხელმძღვანელობდნენ ტაჯიკეთის ეთნიკური პრეზიდენტი (ბერჰანდინ რაბანი და მისი სამხედრო მეთაური აჰმედ შაჰ მასუდი). სხვა მნიშვნელოვან ლიდერებს შორის იყვნენ უზბეკთა მეომარი აბდულ რაშიდ დოსტუმი და ტაჯიკელი მებრძოლი ისმაილ ხანი, რაბნის წევრი და მასუდის ჯამიათ-ეს ისლამის წევრი. ირანმა, რუსეთთან ერთად , უზრუნველყო იარაღი და დაფინანსება ჩრდილოეთ ალიანსისთვის მთელი სამოქალაქო ომის დროს, ხოლო პაკისტანი და საუდის არაბეთი მხარს უჭერდნენ ტალიბებს . თავის მხრივ, ტალიბებმა მხარი დაუჭირეს სუნიტ ისლამის ,,ბოევიკებს'' რომლებიც იწყებდნენ თავდასხმებს ირანის რეჟიმის წინააღმდეგ. 1998 წელს ტალიბების ძალებმა დაიპყრეს ,,Mazar-e sharif," დაანგრიეს ათასობით საცხოვრებელი ადგილები დახოცეს მშვიდობიანი მოსახლეობა, გარადა ამისა მოკლეს ცხრა ირანელი დიპლომატი. თავისი მოქალაქეების მკვლელობისა და თალიბების შიიტური უმცირესობების მხრიდან საშინელი მობყრობის გამო, ირანმა ავღანეთის სასაზღვრო ზოლზე განათავსა მილიონობით ჯარისკაცი , საბოლოოდ გადაიფიქრეს შეჭრა ავღანეთში რადგან კარგად იცოდნენ რამხელა საფრთხეს წარმოადგენდა ავღანეთში

ფარტო მაშტაბიანი სამხედრო კამპანია . როდესაც 2001 წელს აშშ-ის მეთაურობით კოალიცია შეიჭრა ავღანეთსი თალიბების დასამხობად, ირანი იმედგაცრუებული არ დარჩენილა ამ ფაქტით.

ირანმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ავღანეთის სახელმწიფოებრივი შექმნისა და რეკონსტრუქციის პროცესში, თალიბების დაშლის შემდეგ. გაეროს ეგიდით, თეირანი მონაწილეობდა ბონის კონფერენციაში და მნიშვნელოვანი იყო საბოლოო შეთანხმებით , 2001 წლის ხელშეკრულებით დაარსდა ავღანეთის დროებითი ორგანო. ირანი შემდგომში ატარებდა დახვეწილ პოლიტიკას ავღანეთის მიმართ მან მეტი გავლენა მოიპოვა ქაბულში მთავრობაზე და კვლავ ფრტხილია აშშ-სა და ნატოსთან ავღანეთში.

2007 წლის 1 დეკემბერს, ირანის რეჟიმთან დაკავშირებულმა სტრატეგიული კვლევების ცენტრმა (CSR) მოაწყო ირანის პოლიტიკის მიმოხილვის სხდომა ,,ავღანეთის მოვლენებისადმი'' ღონისძიების დასკვნის ფართო შინაარსით განსაზღვრავს ირანის ინტერესებს ავღანეთში, პრიზმაში: ავღანელი ლტოლვილები ირანში, რომლებმაც ,,უარყოფითი სოციალური და ეკონომიკური'' გავლენა მოახდინეს ირანულ საზოგადოებაზე; შეიცავს რადიკალიზმს ,,სუნი-ვაჰაბი'' და ნარკოტიკებით, ასევე შედის ნარკოტიკებით ვაჭრობა, მიმომხილველები ირწმუნებოდნენ, რომ ირანს შეუძლია ,,უზრუნველყოს თავისი ინტერესები ავღანეთში მიუხედავად უცხოური კონკურენციისა'' რაც უფრო მეტი სტაბილურობა და განვითარება იქნება ავღანეთში მიტ უფრო უსაფრთხო იქნება ირანისთვის.

2008-2009 წლის ზამთარში, როდესაც ელექტროენერგიის ნაკლებობა შეიქმნა , ერთ-ერთი მთავარი ამბავი გახდა ავღანურ მედიაში , წყლის და ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ პროტესტმა პიკს მიაღწია, ირანის საელჩომ გამოაცხადა 25 მილიონი ლიტრი ნავთობის გაყიდვა იაფი ფასით ავღანეთში რათა დახმარებოდა ქაბულს ელექტროენერგიის მიწოდებას. (აღსანიშნავია, რომ წყლის და ელექტროენერგიის მინისტრს -ისმაელ ხანს-აქვს თეირანში მჭიდრო კავშირების

ისტორია) მნიშვნელოვანია აღინიშნოს, ავღანელი ხალხის განწყობა ირანზე არათანაბარია და განსხვავებულია ზოგი ირანთან ძალიან მეგობრულია შესაძლოა იმიტომ, რომ მათ ირანთან გარკვეული კავშირები აქვთ განათლების გზით, ან როდესაც ისინი ლტოლვილობაში იყვნენ , ან იმიტომ, რომ ისინი ირანულ ლიტერატურას და მაუწყებლობას მოიხმარენ, სხვები ირანის მიმართ ღრამ მწუხარებას გამოხატავენ , ძირითადად იმის გამო, რომ ირანმა აღიქვა , როგორც ირანში რელიგიურად დატვირთული ,,ჩამორჩენილების'' ამაღლება, ქუმის განსწავლული აითოლისტების და მხარდაჭერის გზით.

საბჭოთა კავშირის შემოჭრის და შემდგომში სამოქალაქო ომის შემდეგ, ირანი სამ მილიონზე მეტი ავღანელი დევნილის საცხოვრებელი გახდა. ამ ლტოლვილთა უმრავლესობა ტაჯიკების და ჰაზარების თემებიდან იყო, მაგრამ ლტოლვილთა შორის სხვა წარმომადგენლებიც იყვნენ . 2001 წელს ტალიბანის დაცემის შემდეგ ირანმა განაგრძო ორი მილიონი ავღანელი დევნილის მასპინძლობა, თუმცა, ამ ლტოლვილების ერთი მილიონი რეგისტრირებული არ არის და შესაბამისად , მათ იურიდიული უფლება არ აქვთ ირანში საცხოვრებლად. როგორც უკვე ავღნიშნეთ , თეირანის თქმით , ავღანელი ლტოლვილები მნიშვნელოვან ტვირთს წამოადგენს ირანის ეკონომიკისა და საზოგადოებისთვის, მაგრამ ავღანეთში შექმნილი ვითარება არ აძლევს საშუალებას ამ ლტოლვილებს რომ დაბრუნდნენ სამშობლოში. ამასთან , თეირანმა რამდენჯერმე გამოიყენა ლტოლვილთა საკითხი, რათა ზეწოლა მოახდინოს მთავრობაზე ქაბულში და მის ამერიკელ და ევროპელ მომხრეებზე , მაგალიტათ ირანის მთავრობა რამდენჯერმე დაემუქრა და იძულებით დაიწყო ირანში მცხოვრები ერთი მილიონი ,,არარეგისტრირებული'' ავღანელების რეპატრიაცია. ავღანეთის მთავრობას არ აქვს შესაძლებლობა გაუმკლავდეს ლტოლვილთა ასეთ შემოდინებას და ეს დადასტურდა , ამ ყველაფერმა დიდი უხერხულობა შეუქმნა როგორც ქაბულს ასევე აშშ-ის ხელმძღვანელობით კოალიციას.

2007 წლის მაისში ავღანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, დოქტორი რანგინ დადფარ-სპანტა და ლტოლვილთა საგარეო საქმეტა მინისტრი უსტან აკბარი თანამდებობიდან გაათავისუფლა ავღანეთის პარლამენტმა, რადგან ვერ შეძლეს აერიდებინათ ავღანეთის მოსახლეობის დეპორტაცია ირანიდან. ამის შემდგომ 2008 წლის დეკემბერში ავღანური დელეგაცია ჩავიდა ირანში , რადგან ისინი ფიქრობდნენ , რომ ზამთრის თვეებში რეპატრიაცია გამოიწვევდა ჰუმანიტარულ კრიზის. ირანის მთავრობამ ნომინალურამდე დაიყვანა ავღანელების დეპორტაცია 2009 წლის მარტამდე.

2002 წლის დასაწყისში დასაწყისში გაჩნდა ბრალდება იმის შესახებ, რომ ირანი მხარს უჭერდა ამბოხებულ ჯგუფებს , მათ შორის თალიბების ყოფილ დიდ მტრებს. ეს ბრალდება შემდგომი წლების განმავლობაში გააქტიურდა , რადგან ირანის საზღვართან შეიარაღებული იქნა რამოდენიმე საკმაოდ დიდი ჯგუფი დიდი ოდენობის საბრძოლო მასალით. ავღანეთის ეროვნული არმიის 205-ე კორპუსის მეთაურმა, რახმატოლა საფიმა თქვა , რომ არსებობს მნიშვნელოვანი სადაზვერვო მონაცემები, რომელიც ამტკიცებს ირანიდან ავღანეთში დიდი ოდენობით იარაღის შემოტანას . 2008 წლის იანვარში , ფარას პოლიციის უფროსმა, ბრიგადის გენერალმა, ხალიალ ბაზ შერზოიმ გამოავლინა, რომ უსაფრთხოების ძალებმა აღმოაჩინეს ირანიდან გამომავალი კონტრაბანდული მაღაროები. თეირანის მთავრობა უარყოდა ნებისმიერ პრეტენზიას , რომ იგი ტალიბებს ეხმარებოდა. რა თქმა უნდა მრავალ ეთნიკური, სტაბილური ავღანეთი ემსახურება ირანის ეკონომიკურ და უსაფრთხოების ინტერესებს . მიუხედავად იმისა რომ თეირანს არ სურს ტალიბების დაბრუნება ქაბულში ის მცირე რაოდენობით მაინც განაგრძობს მათ დაფინანსებას . ირანი ძალიან უფრთხის ამხელა ამერიკული ჯარის ყოფნას მის საზღვრებთან და აშინებს ვაშინგტონის ბოლო წლებში უფრო და უფრო აგრესიული პოზიცია თეირანის მიმართ. ზოგიერტი ანალიტიკოსი ამტკიცებს რომ ირანი მხარს უჭერს დაბალი დონის აჯანყებების შენარჩუნებას, სანამ ამერიკის ჯარები ავღანეთში დარჩებიან. თეირანი ფიქრობს რომ ასეთი დაბალი ინტენსივობის აჯანყებები შეასუსტებს აშშ-ს

სამხედროებს და შეამსუბუქებს საერთაშორისო ზეწოლას თეირანზე მისი ბირთვული პროგრამისა და სხვა წინააღმდეგობებთან დაკავშირებით.

2009 წლის იანვარში, პრეზიდენტმა ჰამიდ კარზაიმ და ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა, პრნაბ მუკერეჟემ გახსნეს ახალი გზა , ზარანჯასა და დელარამს შორის , (რომლითაც დაუკავშირდა ,,ნიმუშის პროვინცია'' ირანის ,,ჩაბაჰართან'' ავტომაგისტრალით), ეს გზა დააფინანსა ინდოეთის მთავრობამ და ააშენა მისი სასაზღვრო გზების ორგანიზაციამ , მშენებლობა დასრულდა 2008 წლის ბოლოს. გზამ ხელი შეუწყო ავღანელ ბიზნესმენებს გადაეტანათ საქონელი ტრანზიტულად პაკისტანის ყარაჩის ნავსადგურიდან სამხრეთ ირანში სამხრეთ ჩაბახარის პორტამდე. ირანმა ხელი შეუწყო ამ ვაჭრობას , ავღანელ ექსპორტიორებს აძლევდა 90 პროცენტიან ფასდაკლებას პორტის გადასახადზე, შენახვის საფასურზე 50 პროცენტიანი ფასდაკლებით სარგებლობდნენ , ავღანურ ავტომობილებს ირანის გზაზე სრული სატრანზიტო უფლება მიენიჭათ.

ვაჭრობა ორ ქვეყანას შორის ნავთობის გამოკლებით-წელიწადში მილიარდ დოლარზე მეტი შეადგინა. ასევე არსებობს მრავალი მილიარდიანი პროექტი, რომელიც აკავშირებს ირანს, ავღანეთს და ტაჯიკეთს სარკინიგზო მაგისტრალით, ირნთან ასეთი სატრანსპორტო სახმელეთო კავშირები, გამოყოფილი იქნება მსოფლიო ეკონომიკისგან , რაც ირანულ გავლენასთან ერთად კომერციას ზრდის. ამასთან ერთად , ირანული დახმარება არ შემოიფარგლებოდა მარტო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით ის მოიცავდა სხვადასხვა პროექტების მხარდაჭერას, მაგალითად

- სამედიცინო დახმარება კერძოდ (სტომატოლგია)
- განათლება (კოლეჯების მშენებლობა ერთერთი დიდი კოლეჯია მაზარი-შარიფში)
- წყლის კვლევის ობიექტები მშენებლობა

ირანში მომუშავე ავღანელების გზავნილები ირანში მშპ-ს მნიშვნელოვან (6 პროცენტს შეადგენს) დაახლოებით (500 მილიონი აშშ დოლარი) . ასობით ათასი ახალგაზრდა და ზოგჯერ მოხუცი ავღანელი მშრომელი ადამიანები რომლებსაც ძალიან უჭირთ ირანში არალეგალურად საქმდებიან ძირითადად მშენებლობაზე და მძიმე საქმეზე მუშაობენ.

ავღანეთი წარმოადგენს ასევე მნიშვნელოვან გამოუყენებელ საექსპორტო ბაზარს ირანული პროდუქტებისთვის , მაშასადამე, ირანი ცდილობდა ხელი შეეწყო უფრო მჭიდრო ეკონომიკური კავშირისთვის აღმოსავლეთ მეზობლებთან თალიბების დაცემის შემდეგ 2001 წელს. მაგალითად , ირანი ცდილობდა და ცდილობს შეამციროს ავღანეთის ეკონომიკური დამოკიდებულება პაკისტანიდან (და ამით გაზარდოს მისი დამოკიდებულება ირანზე) ავღანელებს შესთავაზეს ირანელემბა, რომ გამოეყენებინათ მათი პორტი (Chabahar) და ამით ჩაენაცვლებინათ პაკისტანის (karach) პორტი გარდა ამისა, ირანელებმა ხელი შეუწყეს ავღანეთის ბიზნეს, რომ მათი საერთაშორისო ოფისები არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან ირანში გადაიტანონ. 2008 წელს ირანი, ავღანეთი და ტაჯიკეთი შეთანხმდნენ სპარსულენოვანი კავშირის ეკონომიური საბჭოს შექმნის შესახებ. მნიშვნელოვნად შეიცვალა სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები 2001 წლის შემდგომ ირანის მცდელობა უფრო მეტად დამოკიდებული გახადოს საკუთარ ეკონომიკაზე და მაქსიმალურად შეზღუდოს სხვა ქვეყნები ,განსაკუთრებით პაკისტანი კვლავაც დღის წესრიგშია. [8]

[8] Iran and afganistan p.1 http://www.understandingwar.org/iran-and-afghanistan . 20.05.2020

1.2. ირანის ჰიბრიდული ომის „ავღანური“ აჩრდილები

სანამ უშუალოდ ირანის ჰიბრიდულ ომზე ვისაუბრებთ და ავღანურ (აჩრდილებზე),მიზანშეწონილი იქნება განვიხილოთ რატომ და რა მიზნით შექმნა ეს დაჯგუფება და რა წინა პირობა უძღოდა ამ ასიმეტრიულ მოქმედებებს.

1965 წელს 6 სექტემბერს ირანის სახალხო მუჯაჰედინის ორგანიზაცია (Mojahedin-e-khalq შემოკლებით MEK) დაარსდა მუჰამედ ჰანიფნეჟატის, საიდ მუჰსეინის და ალი- აშგარ ბადიგაზანგის მიერ. MEK-ის დამფუძნებლები იყვნენ ინჟინერები, რომლებიც იყვნენ თავისუფლების მოძრაობის ყოფილი წევრები (ასევე ცნობილი როგორც განმათავისუფლებელი ორგანიზაცია) რომელიც შეიქმნა 1961 წლის მაისში.

‘’თავისუფლების მოძრაობა’’ მხარს უჭერდა ‘’დემოკრატიულ პრინციპებს, რომელიც გათვალისწინებულია 1905-09[ირანის] კონსტიტუციის ფუნდამეტურ კანონებში.’’ 1961-დან 1963 -მდე თავისუფლების მოძრაობამ გამართა შეხვედრები და შეძლო გამოქვეყნებულიყო ბიულეტინი, რომელიც მხარს უჭერდა “პოლიტიკურ თავისუფლებას და ძალაუფლების გამიჯვნას“. 1963 წლის 5 ივნისს , ირანში დიდი დემონსტრაცია გაიმართა, რათა გაეპროტესტებინათ რუჰოლა ხომენის დაპატიმრება, რასაც შაჰის პოლიციამ უპასუხა მასიური ცეცხლით, რაც გახდა ხორდას აჯანყების მიზეზი. დემონსტრაციის მხარდაჭერის გამო ლიბერალური მოძრაობა აიკრძალა. აიკრძალა სხვა პროდემოკრატიული ორგანიზაციებიც.ბაზარგანს მიესაჯა ათწლიანი პატიმრობა. სამი ახალგაზრდა ინჟინერი ხვდებოდა , რომ თავისუფლებისთვის მოძრაობის დუბლირება იგივე სავალალო შედეგამდე მიიყვანდათ, ამიტომ ორი წლის შემდეგ ისინი შეიკრიბნენ ირანის დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ახალი გეგმის შემუშავების მიზნით. სამმა ინჟინერმა სანდო მეგობრებთან ერთად ჩამოაყალიბა სადისკუსიო

ჯგუფი ახალი სტრატეგიის შემუშავების მიზნით. ამ ჯგუფების უმეტესობა იყო თეირანში მცხოვრები პროფესიონალები, რომლებიც კვირაში ორჯერ ხვდებოდნენ და მათი მთავარი განსახილველი საკითხები იყო:

- რელიგია
- ისტორია
- ფილოსოფია
- რევულუციის თეორია

ამ ძირითად საკითხებზე ხდებოდა მათი შეკრება და დისკუსია . MEK-ის ადრეული შეხვედრები დასრულდა მათი ინტერპრეტაციით ჭეშმარიტი ისლამის შესახებ. მათ თვისი შეხედულებები ჩამოაყალიბეს და განმარტეს ჭეშმარიტი ისლამი როგორც: თანდაყოლილი ტოლერანტობა დემოკრატიული რწმენა, რომელიც სრულიად შეესაბამება თანამედროვე საზოგადოების ღირებულებებს.

MEK-მა ექვსი წელი გაატარა თავისი პროგრესული შეხედულებისამებრ ისლამის შესახებ და შეიმუშავა სტრატეგია ირანის დიქტატურული მონარქიის დემოკრატიული მთავრბით შეცვლის შესახებ.

ირანის ფუნდამენტალისტური ,,Mullah''- ები თვლიან, რომ ისლამის ინტერპრეტაცია მათი ექსკლუზიური დარგია. MEK უარყოფს ამ ვიწრო შეხედულებას, ასევე სასულიერო პირების ისლამის აღქმას და ხედვას. ისლამის ყოვლისმომცველი ინტერპრეტაცია, როგორც MEK-მა აღწერა, აღმოჩნდა, რომ უფრო მიმზიდველია, დამაჯერებელია, ვიდრე წარსულის ნებისმიერი მცდელობა.

MEK-ში შეაღწია SAVAK-მა , (შაჰის საიდუმლო პოლიცია) ოპერაციების დაწყებამდე ,,სავაკმა'' აღმოაჩინა გასაიდუმლოებული სახლი და შეძლო რამდენიმე წევრის იდენთიფიკაცია, რომლებიც დაკითხეს და სასტიკი მეთოდებით აწამეს. ამან ,,სავაკი'' მიიყვანა დამატებით წევრებთან, რომლებიც ასევე დააპატიმრეს და აწამეს. 1971 წლის სექტემბერში ზემოთ აღნიშნულმა ძალოვანმა სტრუქტურამ დააპატიმრა დაახლოებით

,,მოჯაჰედინ -ელ ქალქი'' -ის 150 წევრი , რომელშიც შედიოდნენ ჯგუფის დამფუძნებლები და ცენტალური კომიტეტის წევრები, სამოცდაცხრამეტი მოჯაჰედინი გამოიყვანეს სამხედრო ტრიუბუნის წინაშე და წაუყენეს ბრალდება მონარქიის დამხობის მცდელობაში. MEK-ის წევრების სასამართლო განხილვები თავდაპირველად ღია იყო მედიისთვის, MEK ამ დროისთვის უცნობი იყო, მაგრამ წინააღმდეგობრივი ორგანიზაცია მალე გახდა ამ პროცესების შემდგომ ცნობლი , როგორც ირანში დემოკრატიის და თავისუფლების შემომტანი, მედია გაშუქება შეწყდა მას შემდეგ, რაც წევრებმა საჯაროდ განაცხადეს რომ მათ აწამდებდათ'' სავაკი '' დაკავების დროს.

რეჟიმმა დააკავა MEK-ის მთელი ხელმძღვანელობა , მათ შორის მისი დამფუძნებლებისა და ცენტრალური კომიტეტის წევრების ჩათვლით, მაგრამ საინტერესოა ერთერთი მათგანი , მასუდ რაჯავი. მანაც მიიღო სხვების მსგავსად სასიკვდილო განაჩენი, მაგრამ მასუდ რაჯავის ძმამ, ექიმმა კაზემ რაჯავმა, მოაწყო საერთაშორისო კამპანია ჟენევაში, რათა მასუდის სასიკვდილო განაჩენი შეეცვალათ და გამოეყენებინათ სამუდამო პატიმრობა. ასევე ჩაერივნენ ფრანგი ჩინოვნიკები და რაჯავის შეეფარდა სამუდამო განაჩენი. MEK იბრძოდა ხელმძღვანელი სტრუქტურის გარეშე, ხოლო დარჩენილი ორგანიზაცები დაიპყრო პრო კომუნისტურმა პარტიამ. ამ უზურპატორებმა აიღეს ორგანიზაციის სახელი და დარჩენილი აქტივები. MEK-ს დარჩენილ წევრებს შესთავაზეს არჩევანი გაკეთება, ან მხარი დაეჭირათ ახალი ხელმძღვანელობისთვის და უერყოთ მათი იდეოლოგია ან განიდევნებოდნენ. ამ წევრთა დიდი ნაწილი მოკლეს. 1979 წლის 20 იანვარს 7 წლიანი პატიმრობის შემდეგ ციხიდან გაათვისუფლეს ,, მასუდ რაჯავი'' ოთხი დღის მერე შაჰი ირანიდან გაიქცა. იმავე დღეს რაჯავი გამოვიდა თეირანის უნივერსიტეტში , სადაც ისაუბრა MEK ისტორიაზე, პატივისცემით თავისუფლებაზე და ირანში დემოკრატიის შემოტანაზე. მის გამოსვლას ათასობით ადამიანი დაესწრო. ამ მოვლენამ საფუძველი დაუდო მოჯაჰედინის ახალი ნაციონალური მოძრაობის დასაწყისს.

აშშ-ს პ რეზიდენტმა ჯიმი კარტერმა ,,1979 წლის რევულუცია'' წინ გააქტიურა საგარეო პოლიტიკა, რომელიც ხაზს უსვამდა ადამიანის უფლებებს , შაჰი შეშფოთებული იყო , რომ ადამიანის უფლებების ცუდი წარსული ზიანს აყენებდა აშშ-სთან ურთიერთობას, გადადგა ნაბიჯები , ტერორის შემთხვევების შემცირების მიზნით. მან დაასრულა მოწინააღმდეგის წამება და სიკვდილით დასჯა , სხვა ზომებთან ერთად პირველად 25 წლის განმალობაში, ირანელებს შეეძლოთ დემონსტრირება საზოგადოებაში დაპატიმრების, წამედბის და სიკვდილით დასჯის გარეშე. ირანელ ხალხი მრავალი წლის განმავლობაში ეძებდა თავისუფლებას. მათ კარტერის ადამიანის უფლებების დაცვის პოლიტიკის შემდგომ დაინახეს , როგორც შაჰის დიქტატორული რეჟიმის პროტესტის შესაძლებლობა.

ხომეინმს შეცდომაში შეიყვანა ირანის საზოგადოება, რითაც მათ შაჰის მონარქის დემოკრატიული მთავრობაში შეცვლის ცრუ იმედი გაუჩინა. ფუნდამენტალისტი მულაჰების აზრით, ყველა საშუალება არის გამართლებული ღვთის სამსახურში. მათ საკუთარი ინტერესებით ისლამის საბაბით საკუთარი ინტერესები გაატარეს და არ დაუჭერირიათ საზოგადოების მისწრაფებისთვის მხარი. MEK - ის წარმომადგენლების თქმით, მათ ამ ყველაფრით უღალატეს ისლამს და ხალხის გრძნობებს . ამის ერთ-ერთი მაგალითია, როდესაც ხომეინი ყალბად არწმუნებდა ქალებს ,რომ მათ თანაბარი უფლებები ექნებოდათ, მან ასევე აღნიშნა, რომ ახალი მთავრობა მხარს დაუჭერს თავისუფალ პრესას, რაც რა თქმა უნდა არასწორი იყო. ხომეინმა გამოიყენა ასევე ,,ტანფიშის '' სტრატეგია საზოგადოების მოსატყუებლად. Tanfish ნიშნავს ნამდვილი რწმენის შენიღბვას, მტრულ გარემოში ყოფნისას. ხომეინმა შეამცირა ამერიკის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმები, რათა ამერიკელები თამამად ყოფილიყვნენ თვითკმაყოფილების გრნობაში. ხომეინმა გამოიყენა გენერალიტეტი როდესაც ის ახალ მთავრობაზე საუბრობდა და მან უარი თქვა დეტალებში განეხილა მისი პროგრამები , ის იტყუებოდა როდესაც თქვა, რომ სასულიერო პირების როლი მთავრობაში იქნებოდა ისეთივე როგორც საზოგადოების სხვა დარგების , მათაც ეყოლებოდათ წარმომადგენელი.

მას შემდეგ, რაც ხომეინი ირანში დაბრუნდა, მან თავისივაჟი , აჰმადი გაგზავნა, რათა შეხვედროდა მასუდ რაჯავს. რაჯავს ხომეინის სახელით წინადადება შესთავაზა აჰმედმა, თუ ის მხარს დაუჭერდა იმამს და შეეწინააღმდეგებოდა მის ოპონენტებს, მისთვის ყველა კარიბჭე გახსნილი იქნებოდა და ის მიიღებდა ყველაფერს რასაც მოისურვებდა, რაჯავმა უარყო შეთავაზება და განნუმარტა რომ MEK მხარს უჭერს დემოკრატიული მთავრობის დამკვიდრებას. თუ აითოლა მიყვებოდა ამ დემოკრატიის გზას რაჯავი დაპირდა მოჯაჰედის სრულ მხარდაჭერას. რევოლუციიდან ერთი წლის შემდეგ, 1980 წლის იანვარში, ირანში ჩატარდა პირველი საპრეზიდენტო არჩევნები , MEK-მა დიდი ნაბიჯები გადადგა ორგანიზაციის აღდგენაში. ახლა მას ფილიალები და ოფისები აქვს 250-ზე მეტი ქალაქში. მის გაზეთს (The Mojahed-ს) ყველაზე მეტი ყოველდღიური ტირაჟი აქვს თითქმის 600 000 ადამიანს მიაღწია. რაჯავმა თავისი კანდიდატურა დააყენა საპრეზიდენტო არჩევნებში , მან მიიღო ფართო მხარდაჭერა ირანელთა მრავალრიცხოვანი ჯგუფებისგან , მათ შორის სხვა პარტიებისგან, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისგან (ქურთები, სუნიტები, ებრაელები, ქრისტიანები, და ა.შ), სტუდენტები, ახალგაზრდები, საერო ჯგუფები და ქალებისგან. ხომეინს შეეშინდა , იმის შიშით რომ რაჯავმა შესაძლოა არჩევნებში გაიმარჯვოს, საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი კვირით ადრე გამოიტანა ფატვა, რომელიც ვეტოს უფლებას აძლევდა და აუკრძალა ამით ხომეინს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილება. იძულებული გახდა რაჯავი რომ დაეტოვებინა არჩევნები მაგრამ პირობა დადო, რომ MEK გააგრძელებდა პოლიტიკურ მიზნების მიღწევას კონსტიტუციისა და ახალი სამართლებრივი სისტემის შეზღუდვაში. მულაჰებმა გააფართოეს ზეწოლა MEK-ზე აუკრძალეს მოჯაჰედინის წარმომადგენლებს უნივერსიტეტის კამპუსში გამოჩენა. ათეულობით ქალაქში ჰეზბოლას ინტერესების დამცველები თავს დაესხნენ და გაძარცვეს მოჯაჰედინის შტაბი, 1980 წელს The Mojahedis 60, 000 ეგზემპლარი წაართვეს და დაწვეს , აგრძელებდნენ ასევე მათი წევრების დაკავებას და ასევე შეიარაღებული თავდასხმები.მულაჰები მოგზაურობდნენ ქალაქიდან ქალაქში და

აცნობდნენ ხალხს MEK-ის წინააღმდეგ ტყუილებს , დეზინფორმაციის გზით ცდილობდნენ რეპუტაციის გაფუჭებას.

1986 წელს MEK-მა თავისი შტაბბი საფრანგეთიდან ერაყში გადაიტანა. ეს ადგილი სტრატეგიულად უპირატესობას ანიჭებდა, რადგან ის ირანთან ახლოს იყო . დიდი ქონება MEK-ს საშუალებას აძლევდა ბანაკი შეექმნა ნებისმიერ ადგილზე სრულფასოვანი ფუნქციონალური პატარა ქალაქის მასშტაბით. შტაბი, სახელწოდებით CAMP Ashraf , 2009 აშშ-ს ერაყიდან გამოსვლის შემდეგ , აშრაფში MEK-ის მაცხოვრებლების ბანაკი , ახალმა ხელისუფლებამ გადაიბარა რომელსაც ერაყის პრემიერ მინისტრი მართავდა ბანაკის ლიდერები ფიქრობდნენ რომ საჭირო იყო ბანაკის სხვა ადგილას გადატანა, რადგან ისისნი ამ პროცესების შემდგომ დაცულები აღარ იქნებოდნენ ხელისუფლების მიერ, ზუსტად რასაჩ წინასწარმეტყველებდნენ ისე მოხდა , ბანაკს რამოდენიმეჯერ დაესხნენ თავს და მის მაცხოვრებლებს არა ადამიანურად ეპყრობოდნენ. 2012 წელს ბანაკის მაცხოვრებლები გადასახლდნენ ბანაკ, ლიბერტიში, ერაყში მიტოვებულ სამხედრო ბაზაზე, არასტანდარტული პირობებით მათ ასევე აწუხებდნენ დამატებითი შეტევებით და ბლოკადებით , ხელს უშლიდნენ ბანაკის მაცხოვრებლებს მიეღოთ საკვები და მედიკამენტები. ირანისთვის რა თქმა უნდა ასიმეტრიულ საფრთხეს წარმოადგენდა და ყველგან ებრძოდნენ არაკონვენციური მეთოდებით. ევროპული და არაბული მომხრეების კოალიცია, ადამიანების უფლებათა დაცვის საერთაშორისო ჯგუფთან ერთად, დაიწყეს კამპანია MEK-სთვის ახალი სახლის მოსაძებნად და ყველას გადასასახლებლად . Camp Libery-ის დარჩენილი მაცხოვრებლები ევროპის ქვეყნებში გადაანაწილეს. განსახლების პროცესს თითქმის ხუთი წელი დასჭირდა და დასრულდა 2016 წლის 9 სექტემბერს. ირანულმა რეჟიმმა თავდასხმები მოაწყვეს ბანაკ ლიბერთიზე ბოლო დღეებამდე. მარიონეტულ ჯგუფებს აძლევდნენ ერაყში სარაკეტო სისტემებს და ისინიც ახორციელებდნენ თავდასხმას ბანაკზე. 2016 წლის 19 აგვისტოს ერაყის ფედერალურმა პოლიციამ იპოვა სატვირთო მანქანა ასაფეთქებელი საშუალებებით დატვირთული, რომელიც ჰეზბოლას ტერორისტულ ჯგუფს ეკუთვნოდა,

სავარაუდოდ ბაზაზე თავდასხმსთვის. 2016 წელს მოჯაჰედინებმა ალბანეთის დედაქალაქ ტირანაში ახალი შტაბი გახსნეს, მათ შექმნეს ოპერაციების ბაზა ალბანეთის სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეტზე , რომელის დაფინანსებული იყო მხარდამჭერების შემოწირულობით, ასე შეიქმნა აშრიფ - 3 და მათ მაცხოვრებლებს აშაფებს უწოდებდნენ. 2019 წლის ივლისში ალბანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრი პანდელი იყო ერთ-ერთი 350 ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეებიდან, MEK- ის უფლებადამცველი ხელმძღვანელოდა 47 ქვეყნის დელეგაციას სადაც გაიმართა ხუთ დღიანი კონფერენცია MEK-ის ახალ დასრულებულ შტაბში. მან გამარტა თუ რატო აირჩია მისმა ქვეყანამ ამ ორგანიზაციის მასპინძლობა , მან სიტყვა წარმოთქვა შემდგეი სიტყვებით (როდესაც 1943 წელს ნაცისტებმა დაიპყრეს ალბანეთი და ორი ძირითადი მოთხოვნა წაუყენეს როდესაც ალბანეთის დელეგაცია ბერლინში წავიდა მათ უნდოდათ ჩენი ოქროს გატანა ბერლინში და სურდათ ალბანეთში მცხოვრები ყველა ებრაელის სია . ჩვენი პასუხი იყო : ოქრო, დიახ; ებრაელები არა. გაჭირვებულთა დაცვა ჩვენ თვითმყოფადობის ნაწილია) ოც თვეში MEK –ის წევრებმა , რომლებიც ცხოვრობდნენ Asharav-3-ში ცარიელი მიწის ნაკვეთი მცირე ქალაქად გადააკეთეს , საავადმყოფოებით საკლასო და საკონფერენციო დარბაზებით, პარკებით, რესტორნებით, სავაჭრო ცენტრებით , საცურაო აუზებით და ძვირადღირებული სასტუმროები. 3000 ორგანიზაციის წევრი ახლა ცხოვრობს და მუშაობს Asharaf-3- ში, სადაც დაუღალავად მუშაობენ ირანის რეჟიმის დამხობისთვის და ირანში თავისუფლების და დემოკრატიის მოსაზიდად , ყოველშემთვევაში მათი ლიდერები და წევრები ამ იდეოლოგიით ცხოვრობენ , თუ მოვლენ ქვეყნის სათავეში რას გააკეთებენ ეს უკვე დროის საკითხია. თუ მანამდე ამ ორგანიზაციას ტერორისტულ ჯგუფებს უწოდებდა აშშ და ტერორისტთა სიაშიც ყავდა ბოლო პერიოდში შეხედულება შეიცვალეს და ამოშალეს ტერორისტებიის სიიდან და გარკვეულ წილად აღმოსავლეთსი თავისი ინტერესებისთვის გამოიყენეს და მხარი დაუჭირეს. 2019 წლის 18 იანვარს -ირანში და მის ფარგლებს გარეთ PMOI /People’s Mujahedin of Iran/MEK-ის მზარდი გავლენის შესახებ მორიგი სასტიკი რეაქციის გამო, ირანის

ხელისუფლებამ საინფორმაცია საშუალებით განაცხადა, რომ NCRI(National Council of Resistance of Iran)-ის პრეზიდენტმა მარაიმ რაჯავმა ამერიკულ დელეგაციასთანე ერთად ქაბულში, ავღანეთში, ირანის აღმოსავლეთ საზღვართან PMOI/MEK –ის სამხედრო ბაზის შესამოწმებლად. ჯავანის პრესკლუბმა , რომელიც ბაზიჯის სამხედრო ძალასთან არის დაკავშირებული, გააკეთა ეს სარჩელი და დასძინა, რომ აშშ-ს ადმინისტრაციამ ქაბულის მთავრობა აიძულა, რომ მის მიწაზე გაეკეთებინათ ბაზა MEK-ის წევრებს. ეს ყველაფერი ასახავდა თეირანის შიშს ირანელი ხალხის და წინააღმდეგობრივი ჯგუფების. ტანსიმი , ახალი ამბების ვებსაიტი რომელსაც მართავს ტერორისტული ქუდსის ძალები, ირწმუნებოდა , რომ აშშ იკვლევდა MEK-ის წევრების დაბრუნების ვარიანტს , სადაც ეს ორგანიზაცია დაფუძნდა , სანამ 2016 წელს ალბანეთში განთავსთებოდნენ. რეჟიმის ოფიციალური პირების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ MEK იდგა უკან მოახლოებული კონფერენციის შესახებ ვარშავაში, სადაც აშშ-ს და სხვა ქვეყნის ოფიციალურ პირებს უნდა ემსჯელათ ირანის რეჟიმის დამანგრეველი როლის წინააღმდეგ, შუა აღმოსავლეთში . ირანის რეჟიმის ოფიციალური პირების და მედიასაშუალებების განრისხება გამოიწვია , ჯავანმა გამოაქვეყნა მარიამ რაჯავის ავღანეთში მოგზაურობის შესახებ სიახლეები, წერს: ,, ამ მოგზაურობის მიზანია შეიქმნას სამხედრო ბაზები ამ ტერორისტული ჯგუფებისთვის აღმოსავლეთით. ირანის საზღვრებთან ახლოს , ასევე მარიამ რაჯავი სტუმრობდა ჰერატის შინდიდის რეგიონს,ისინი სამხედრო ბაზას ააშენებენ და [MEK] ჯარი, რომელიც ადრე ამ რეგიონში იყო გადაყვანილი ბაღდადიდან, დაიკავებს ამერიკულ ბაზის ნაწილს.“ ირანის რეჟიმის წინააღმდეგ განხორციელებული ზომების ნაწილად, ტრამპის ადმინისტრაცია გეგმავს დახმარების გაზრდას [MEK] და ამ ჯგუფისთვის სამხედრო ბაზების აშენებას მეზობელ ქვეყნებში. ამასთან დაკავშირებით , მსჯელობა გაიმართა ერაყისა და ავღანეთის ლიდერებთან. MEK გამოიყენებს ამ ბაზებს ირანში შეღწევისთვის დივერსიული და დესტრუქციული ოპერაციებისთვის . ავღანეთის

სტრატეგიული შეთანხმების თანახმად, აშშ ამ ქვეყნის მთავრობას აიძულებს, დაეთანხმნონ ამ ორგანიზაციის განთავსებას მათ მიწაზე.[9]

ანტი ისლამური ირანის მიმართ განწყობილი მოწინააღმდეგეების წინააღმდეგ, მათმა მთავრობამ შექმნა შეიარაღებული ძალები და იყენებდა ჰიბრიდული ბრძოლის წარმოებისთვის, ეს არის საკმაოდ დიდი რაოდენობის და ცუდად გაწვრთნილი შენაერთი რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს ძირითადა არიან ავღანური წარმოშობის „ჰაზარები“ დაახლოებით 10,000-20,000 მებრძოლი, იბრძოდნენ სირიაში პრეზიდენტ ბაშარ ალ-ასადის მხარდასაჭერად, ეს მებრძოლები არიან ირანის მიერ ორგანიზებული ისლამური რევულუციის გვარდიის კორპუსი სხვა ასოცირებული ჯგუფის ხელმძღვანელობით ისინი შეიკრიბნენ ეგრეთ წოდებული ,,ფატემიუნის“ დანაყოფის ქვეშ მათი საბრძოლო გამოცდილება უკვე საკმაოდ დიდია და უფრო მეტად ხდება მათი დახვეწა და განვითარება. ირანის ისლამური რევულუციიდან ერთი წლის შემდეგ (1980)წ შეიქმნა ფატემიუნის დივიზია, ემსახურებოდა ირანის ინტერესებს ავღანეთის სამოქალაქო ომში, ასევე ირან-ერაყის ომში. 2012 წელს აღორძინდა ,,ირანის ისლამური რევულუციის გვარდიის კორპუსი'' (IRGC) სახელით. 2011 წლიდან IRGC- მა საზღვრების გარედან მოიწვია ათასობით ავღანელი მიგრანტი და შეუდგა დაფარულად მათ წვრთნას. სირიის ომის გამო რამოდენიმე ათასი მებრძოლი დაბრუნდა სამშობლოში, ამით შეშფოთდა აშშ რადგან

---

[9] Mek Iran's History https://mek-iran.com/meks-history/ 21.05.2020

Militarian Iranian cult https://theintercept.com/2020/03/22/mek-mojahedin-e-khalq-iran/ 21.05.20

MEK building military bases on afganistan borders https://english.mojahedin.org/i/iranian-officials-mek-building-military-bases-afghanistan-borders 21.05.2020

PMOI/MEK https://iranfreedom.org/en/peoples-mojahedin-pmoi-mek-iran/ 21.05.20.

ირანს შეეძლო მარიონეტულ ჯგუფებს მობილიზება ავღანეთში. ავღანეთის მთავარი სადაზვერვო სააგენტოს, ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ერვნული სამმართველოს ხელმძღვანელი რახმატოლი ნაბილი, სავარაუდოდ, 2,500-დან 3000-მდე ფატემიუნის მებრძოლის დაბრუნებას ადასტურებდა ავღანეთში და განმარტავდა რომ მაგ ეტაპისთვის, მათ არ შეეძლოთ საფრთხე შეექმნათ ეროვნული უსაფრთხოებისთვის , ის ამბობდა რომ ფატემიუნის მებრძოლები არ იყვნენ ორგანიზებული და მიმოფანტული იყვნენ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, მაგრამ მან ასევე აღნიშნა , რომ ფატემიუნის შეიარაღებულ ძალებს შეიძლება საფრთხე შეექმნათ თუ ისინი შეძლებდნენ ცენტრალური მართვის შტაბის შექმნას ავღანეთში. ნაბილმა თქვა, რომ გაუგებრარია, როგორ შეძლო ავღანურმა დაზვერვამ მათი გამოაშკარავება რადგან ისინი ძირითადად ორიენტირებული იყვნენ ტალიბანის და ისლამური სახელმწიფოს წინააღმდეგ . მებრძოლების უმეტესი ნაწილი დასახლდა საკუთარ სახლებში ცენტრალურ ავღანეთში, რომელშიც ძირითადად ჰაზარები ცხოვრობენ , ასევე ქვეყნის დასავლეთ ნაწილშუ მდებარე ჰაზარას დასახლებაში, ირანთან საზღვრის გასწვრივ. ეს არის მებრძოლთა ჯგუფი , რომლებიც არ არიან მზად განახორციელონ თავდასხმები ავღანეთში “თქვა კუგელმანმა “ თუმცა თეირანმა მათ ხელი შეუწყო თავისი ინტერესებისთვის სირიაში საბრძოლველად , რადგან ახლო აღმოსავლეთში დაძაბული სიტვაციაა ავღანური „აჩრდილების“ გამოყენება ახლო აღმოსავლეთში ირანის ჰიბრიდული ომის დიდი ნაწილია, მათ შორის MEK-ის წევრების წინააღმდეგ. გაურკვეველია სირიაში მებრძოლი ფატემიუნის წევრების საერთო რაოდენობა ექსპერტების შეფასებით, ეს რიცხვი 5000-დან 20 000-მდე მერყეობს. ალი ალფონე არის IRGC ექსპერტი, ვაშინგტონში , არაბეთის ყურის სახელმწიფო ინსტიტუტის უფროსი თანამშრომელი. მისი მონაცემთა ბაზის თანახმად , 2012 წლის იანვრიდან 2019 წლის სექტემბრამდე სირიაში დაიღუპა 917 ავღანელი მოქალაქე, ცუდად გაწვრთნილმა მარიონეტულმა ძალებმა დაკარგეს მებრძოლების 20 პროცენტი , განაცხადა ალფონებ, მისი შეფასებით სირიაში 5000 ავღანელი იმყოფებოდა. რომლებიც საზარბაზნე ხორცად გამოიყენეს , აღნიშნაავს რომ მცირე ინვესტიცია განხორციელდა მათ

მომზადებაზე. ირანის ავტორიტეტული ხელისუფლების წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მებრძოლები სირიაში მიემგზავრებოდნენ ნებაყოფლობით, რათა დაიცვან წმინდა შიიტური ადგილები. უფლებადამცველების განცხადებით, ირანში ავღანელ მიგრანტებისა და ლტოლვილებს შესთავაზეს ფინანსური ჯილდოები, გაეროს შეფასებით, ირანში ავღანეთის მოქალაქეების რაოდენობა ერთ მილიონზე ნაკლებია, მაგრამ თეირანი აცხადებს რომ სამ მილიონს უახლოვდება ავღანელი მიგრანტების რაოდენობა. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ თეირანმა გააძევა მრავალი ავღანელი და პერიოდულად ემუქრება მათ , ვინც მასობრივ განდევნას გადაურჩა. საზღვაო ქვეითების გენრალმა ფრენკ მაკკენზემ, აშშ-ს შუა აღმოსავლეთსი დისლოცირებული ძალების მეთაურმა, თქვა , რომ ავღანეთში განსაკუთრებით გაიზარდა ირანის აქტივობა, რაც ხდება მათი მარიონეტული რეჟიმის გააქტიურებით იგი გულისხმობდა (ავღანურ აჩრდილებს) იგივე ფატენიუმის მებრძოლები , ასევე ირანმა მიაღწია გარკვეულ შეთანხმებას თალიბებთან მაგრამ კარგად იციან რომ ეს შეთანხმებვა სავარაუდოდ დიდხანს არ გასტანს და მათ, ჭირდებათ სხვა ძალები რომლთა საშუალებითაც შეძლებენ შეინარჩუნონ მიღწეული კონტროლი და იფიქრონ უფრო მეტად გაფართოვებაზე ავღანეთში.

ინტერნეტ სივრცეში მოიპოვება ფოტო რომელიც ზუსტად არ არის დათარიღებული , ეს ფოტა ადასტურებს და ამტკიცებს ირანის მხრიდან დიდ ინტერეს ფატენიუმზე, ამ ფოტოში, აღბეჭდილია (Qasem Solemani და Afgan Alireza Tavasoli-ფატემიუნის ბრიგადის მეთაური -რომელიც დაიღუპა სირიის ომში) მოგვიანებით კი ამეიკული ძალების უპილოტო საფრენმა აპარატმა მოკლა ირანელი გენერალი სოლეიმანი - საბაბი ზუსტად იყო ტერორისტული აქტები, რაც აშშ განაცხადა, ამ მოვლენამ ირანი და აშშ ომის ზრვარზე მიიყვანა. „ავღანური აჩრდილების“ ფაქტორის გათვალისწინება ირანის ჰიბრიდული ბრძოლებისთვას ძალიან მნიშვნელოვანია რადგან საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ გააფართოონ და გაზარდონ მეომრების რაოდენობა და

საჭიროების შემთხვევაში მათი რეკრუტირების ხარისხი, რათა უკეთესად მართონ ოპერატიული გარემო.[10]

თავი II: ავღანეთში არსებული გეოსტრატეგიული ვითარება და ირანის ჩართულობის გროსტრატეგიული დონე.

ავღანეთის ახალი გეოპოლიტიკის შემავალი ელემენტებია , ნახევრად-სტაბილურიბა და ანტი-თალიბები რომელთა მოძრაობამ ახალი შესაძლებლობები გააჩინა, სხვა ელემენტებია, მაგალითად ოპიუმის წარმოების ზრდა აჯანყების საფრთხე, ამ ყველაფერს გავლენა ქონდა ირანის უსაფრთხოებაზეც. ავღანეთის გეოპოლიტიკა , თავის მხრივ გავლენას ახდენს ირანის ეროვნულ უსაფრთხოებაზე მაკრო დონეზე. ავღანეთი იმ მცირერიცხოვანი ქვეყნებიდან ერთ-ერთია, რომელიც არასდროს ყოფილა პირდაპირი კოლონიზაციის პირობებში, ეს ფაქტი ყველა ავღანელის მეხსიერებაში რჩება. ქვეყანა რომელიც დაამარცხა მე-19 საუკუნეში

---

[10]Understanding of fatemyoun Division: life throught The eyes of milita member https://www.mei.edu/publications/understanding-fatemiyoun-division-life-through-eyes-militia-member 22.05.2020

The returne of Pro-Iranian Militia Fighters To Afganistan Fuels Fears In Kabul, Washington https://www.rferl.org/a/the-return-of-pro-iranian-militia-fighters-to-afghanistan-fuels-fears/30422587.html?fbclid=IwAR3wg-3uXmU5_fk780LcJXX1JwqcUnb5Hs7yFXsbq2AWOyF68OpCyQXcgnA 22.05.2020

Iran's Fatemiyoun Forces: A Challenge to the US Mission in Afghanistan ? https://insidearabia.com/irans-fatemiyoun-forces-a-challenge-to-the-us-mission-in-afghanistan/?fbclid=IwAR0E8YTfItZjCm0Iz0GVX0jI5z2d0KsnP9syh4Z-_NvDglK4HNoClIbsbG8 22.05.2020

ბრიტანეტის იმპერიაა და XX საუკუნეში საბჭოთა კავშირი იბრძოდა. აშშ ახლაც იბრძვის, როგორც ავღანეთს უწოდებენ ეს არის სასაფლაო ზესახელმწიფოებისთვის.

ავღანეთი სამხრეთ აზიის ზღუდე ქვეყანაა, რომელიც ესაზღვრება ჩინეთს, პაკისტანს, ირანს, ტაჯიკეთს,უზბეკეთს და თურქმენეთს. გეოგრაფია შეიძლება დაიყოს მაღალმთიან, ჩრდილოეტ დაბლობებსა და სამხრეტ-დასავლეთის პლატოზე. მთები ავღანეთის დომინანტური მახასიათებელია, ინდოეთის სუბკონტინენტის დიაპაზონი სამხრეთ-დასავლეთის კუთხით გადის და დაახლოებით ნახევრად ყოფს ქვეყანას, მას გააჩნია ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი ქალაქი, დედაქალაქი ქაბული აღმოსავლეთით, სამხრეთით-კანდაჰარი, დასავლეთით-ჰერტა და ჩრდილოეთით მაზარ-ი-შარიფი. მისი ადგილმდებარეობის გამო, ქვეყანა ფუნქციონირებს, როგორც ხიდი ენერგიით მდიდარი ცენტრალურ აზიასადა ენერგეტიკული დეფიციტის სამხრეთ აზიას შორის. ავღანეთის მთავარ გეოპოლიტიკურ გამოწვევას წარმოადგენს წინააღმდეგობა გაუწიოს გარე ძალების ჩარევას , ხოლო ამავე დროს შეინარჩუნოს ავტორიტეტი მეტწილად სოფლის მოსახლეობაზე, რომელზეც გავრცელებულია მკაცრი ლანდშაფტი. ავღანეთი მდებარეობს შუა აღმოსავლეთის, შუა აზიის და ინდოეთის ქვეკონტინენტის გზაჯვარედინზე , ისტორიულად ამ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ადგილის გამო მოიწვია გარე აქტორები, რის შედეგადაც ქვეყანა შეიცავს მრავალფეროვან ენებს , კულტურებსა და ეთნიკურობას. მართლაც ავღანეთის საზოგადოება მოიცავს პუშტუნის, ტაჯიკების, თურქმენების, უზბეკებისა და ჰაზარების მნიშვნელოვან მოსახლლეობას.თითოეული ეს ჯგუფი მეზობელ ქვეყნებშია მიმოფანტული და ეს ყველაფერი ხელს უწყობს გარე ძალების ჩარევას შიდა საქმეებში. თანამედროვე ავღანეთის საღვრები შეიქმნა მე-19 საუკუნის განმავლობაში, რათა გაეყოთ სივრცე დიდ ბრიტანეთს და რუსეთის იმპერიას, ავღანეთის ყველაზე სადავო ადგილი არის პაკისტანის ხაზი, რომელსაც დურანდის ხაზს უწოდებენ, ავღანეთი ამტკიცებს რომ მისი მთავარი საზღვარი არის უფრო შიგნით პაკისტანის პუშტუნების უმრავლესობის რეგიონში. ეს ყველაფერი ხელს უწყობს ორ ქვეყანას შორის ანტაგონიზმს და დიდ როლს ასრულებს ავღანეთის ფართო გამოწვევაში

სუვერენიტეტის განმტკიცებისას, რადგან აქტორები გარედან ცდილობენ საკუთარი ინტერესების განვითარებას. ენერგორესურსებზე წვდომის გაძლიერების გამო, საერთაშორისო ურთიერთობებში შედის ის, რასაც ენერგეტიკის მეცნიერი მაიკლკლერი უწოდებს „ საერთაშორისო ენერგეტიკულ წყობას“ ამ რიგად, ენერგორესურსებზე წვდომა წარმოშობს პაექრობას როგორც სამხედრო სიძლიერის ერთერთი განმსაზღვრელი. ცენტრალურ აზიაში ნავთობისა და ბუნებრივი გაზის დიდი დეპოზიტია, რის გამოვც აშშ, ჩინეთი და რუსეთი კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ცნობილია როგორც (ახალი დიდი თამაში) გეოპოლიტიკური თეორიის თანახმად, გლობალური დომინირება არის ევრაზიულ მიწისძვრაზე დომინირების საგანი, ხოლო ცენტრალურ აზიაში გავლენის მოპოვების ძირითადი ნაბიჯი ამ მიზნის მისაღწევად. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთს, რუსეთს და აშშ-ს ინტერესების გადაკვეთა აქვთ, აშშ რუსეთსა და ჩინეთს კონკურენტებად მიიჩნეევს. სწორედ ამიტომ აშშ სურს ცენტრალური აზიის ენერგია თავისი მეტოქეებისგან სამხრეთ აზიის მიმართულებით გაიყვანოს TAPI მილსადენი ცენტრალური და სამხრეთ აზიას შორის მდებარეობის გამო, ავღანეთი არის ენერგეტიკული ხიდი, ამრიგად ვაშინგტონის სტრატეგიული მიზნების მისაღწევად ცენტრალურ აზიაში სამხედრო ძალების დომინირება აშშ -თვის მნიშვნელოვანია, გარდა ამისა TAPI მილსადენი საშუალებას აძლევს აშშ იზორილებული იქნას ირანიდან, რომელიც კონკურენციას უწევს სამხრეთ აზიას რუსეთის მიერ მხარდაჭერილი IPI მილსადენით. ამასთან ავღანეთის გეოპილიტიკური არასტაბილურობა და უსაფრთხოების პრობლემები ართულებს თურქმენეთი-ავღანეთი-პაკისტანი-ინდოეთის მილსადენის მშენებლობის მცდელობას.

აშშ მიიჩნევს, რომ ეკონომიკური განვითარება TAPI სატრანზიტო მოსაკრებლების სახით, შეამცირებს ისლამურ ფუნდამენტალიზმს ავღანეთში. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი და ჩინეთი ფუნდამენტალისტური საფრთხის წინაშე დგანან, ისინი საშინლად გრძნობენ თავს, რომ აშშ თამაშობს დიდი როლს რეგიონის ენერგეტიკულ ტრანზაქციებში, რომ აღარაფერი ვთქვათ სამხედრო გავლენაზე. სწორედ ამიტომ

ისინი ავღანეთში საკუთარი იარაღით, ინვესტიციებითა და ენერგეტიკული პროექტებით ცდილობენ გავლენას ავღანეთზე. უფრო მეტიც , ინდოეთი, პაკისტანი და ირანის ისევ იბრძვიან ავღანეთში გავლენისთვის.[11]

ირანი სამხედრო დახმარებას უწევს ტალიბებს მცირე კალიბრიანი იარაღით, მძმე და საშუალო ტყვიამფრქვეებით და ასევე ყუმბარსატყორცნებით (RPG) , ირანის მხარდაჭერა ტალიბანის მიმართ არ ყოფილა ისეთი ფართომაშტაბიანი, როგორც მისი მხარდაჭერა შიას მეამბოხეებისთვის, რომლებმაც ათასობით ადამიანი იმსხვერპლეს ერაყში აშშ-ს ძალების წინააღმდეგ., ირანის სამხედრო და სადაზვერვო კავშირები ტალიბებთან ასევე გაცილებით ნაკლებად ინტენსიურია ვიდრე სხვა ანტიამერიკულ ჯგუფებთან, როგორიცაა მაგალითად ჰეზბოლა. ეს შეიძლება ნაწილობრივ გამოწვეული იყოს იმით რომ, ტალიბების სუნიტურ ფუნდამენტალისტურ ჯგუფს ეწინააღმდეგება შია ირანი, მაგრამ თეირანის გაზომილი მხარდაჭერა ტალიბებთან შეიძლება დაკავშირებული იყოს ძალიან კონკრეტულ მიზნებთან , ამან შეიძლება გააძლიეროს ირანის სანდოობა ტალიბების გარკვეულ ფრაქციებთან და გააძლიეროს კომუნიკაცია პუშტუნის ავღანელ მოსახლეობასთან, ავღანეთის მთავრობასთან ბერკეტების გაზრდა ორმხრივი ურთიერთობების ზედმეტი ზიანის გარეშე. ირანი აგრეთვე აგზავნის შეტყობინებას შეერთებულ შტატებში: სამხედრო კონფლიქტების დროს, ირანს აქვს შესაძლებლობა, მოიხდინოს ზეწოლა აშშ-ს ძალებზე ავღანეთში. ირანის მხარდაჭერა ავღანელი ამბოხებულებისთვის შეიძლება ასევე მოტივირებული იყოს ირანში არსებული შიდა კონფლიქტებით (ბალუჩის სეპარატისტულ მეამბოხეებთან) სუნიტური დასახლება ბალუჩი , რომელიც მდებარეობს სამხრეთ აღმოსავლეთ ირანში , პაკისტანის და ავღანეთის ტერიტორიებსი გასწვრივ, ირანის

[11] Afghanistan p.1 https://stratfor.com/region/south-asia/afghanistan 29.05.2020

The Strategic Significance of Afghanistan: Geopolitics, the Trans-Afghan Pipeline, and the Struggle for Eurasia p.1 https://openscholarship.wustl.edu/art_sci_etds/246/ 02.06.2020

ბალუჩისტანი ,შაჰის პერიოდშიც განუვითარებელი იყო და წინააღმდეგობას უწევდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ისლამურმა რესპუბლიკამ რეპრესიებით უპასუხა ბალუჩის სოციალურ-ეკონომიკურ მოთხოვნებს, განსაკუთრებით „აჰმადინეჟადის“ პრეზიდენტობის დროს, დააპატიმრეს ბალუჩის სუნიტური სასულიერო პირები და ზოგიერთი გაქრა უსაფრთხოების ძალების მიერ. მეტიც თეირანი მიჰყვა პოლიტიკურ სპარსალიზაციას, მან განათავსა ფარსის მოლაპარაკე ირანელები ბალუჩის დიდ ქალაქებში როგორიც არის ზაჰედი. ბოლო წლებში ირანული ბალუჩისტანის მხრიდან გაიზარდა ძალადობა, ექსტრემალურ ბალუჩის მეამბოხე ჯგუფებს, ევალებოდათ ირანელ ოფიციალურ პირებზე და სამხედროებზე თავდასხმა მათ შორის თვითმკვლელების გამოყენებით , მაგალითად თვითმკვლელის აფეთქებას პაშინში რევულუციური გვარდიის მაღალჩინოსნები შეიწირა. ირანის მთავრობა თანმიმდევრულად ირწმუნებოდა, რომ ბალუჩის ამბოხებულები, მათ შორის ჯუნდალაჰას მხარს უჭერს შეერთებული შტატები , ისრაელი, საუდის არაბეთი და პაკისტანი. უზენაესი ლიდერი აითოლა ირწმუნება , რომ ირანის დაზვერვა ადასტურებს აშშ -ს თანამონაწიელობას, არ არსებობს რაიმე დამადასტურებელი საბუთი იმისა , რომ შეერთებულმა შტატებმა ჯუნდალას დახმარება გაუწია. მაგრამ ძნელია არ იქნება ვიფიქროთ, რომ ისრაელმა ან საუდის არაბეთმა დახმარება გაუწიოს ირანულ ბელუჩისტანს , აქტიურად მუშაობს ამ კუთხით ისრაელი, რომელიც საკმაოდ ფართო მაშტაბიან დივერსიულ აქტებს აწყობს ირანის წინააღმდეგ , მათ შორის ირანელი მეცნიერების ლიკვიდირების საქმეში , რომლებიც მუშაობდნენ ბირთვულ პროგრამაზე, ისრაელი მჭიდროდ თანამშრომლობდა ირანელ ქურთებთან და ზემოთ ხსენებულ Mujahedine-e khalq ორგანიზაციასთან. ასევე საუდის არაბეთს აქვს სუნიტური ძალების მხარდაჭერის ისტორია . ირანელმა პროფესორმა ნასერ ჰადინმა დაადანაშაულა საუდის არაბეთი , რომ აჯანყებულებისთვის ქმნიდა ინფრასტრუქტურას (უმცირესობათა დასახლებულ ადგილებში მაგალითად ბალუჩისტანში) ირანის ახალი გეოპლოლიტიკური გამოწვევები საკმაოდ ბევრია

,როგორც შიდა გეოპოლიტიკური მდგომარეობა ასევე რეგიონალური და გლობალური.

ირანი ირწმუნება, რომ შეერთებული შტატები და მისი რწმუნებულები მხარს უჭერენ სეპარატისტულ ბალუჩის ძალადობას. მათ მიერ ტალიბანის შეიარაღება შეიძლება შეფასდეს, როგორც საწინაარმდეგო ღონისძიება, მიუხედავად ამისა, ირანის მასშტაბები მეამბოხე ჯგუფების დახმარებას მიანიშნებს. როგორც აღმოჩნდა ირანის სამხედრო დახმარება მიანიშნებს , რომ ეს გამოწვეული არ არის მორცხვი მოქმედებით ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მთელი რიგირ ფაქტორებით. ავღანეთის მთავრობა და მოსახლეობა გამოხატავს მზარდი უკმაყოფილებას ირანის მხრიდან ავღანეთის საქმეებში ჩარევის გამო.[12]

2.1. ავღანეთის გეოპოლიტიკური სიტუაციის მოკლე ანალიზი და ირანის ჩართულობის სტრატეგია 9/11 მოვლენების შემდეგ .

უსაფრთხოების თვალსაზრისით, ირანს მრავალი საფრთხე აქვს სხვადასხვა კუთხით , ირანის გეოპოლიტიკური მდგომარეობა გარკვეულწილად შეიცვალალა 9/11 მოვლენების შემდეგ ავღანეთში , რადგან ტალიბანი ჩამოშორდა ხელისუფლებას და უფრო მეტი საშუალება მიეცა ზეგავლენის სფეროების გასაფართოვებლად ასევე სხვა მეზობელ და კონკურენტ ქვეყნებთან ცდილობს უპირატესობის მოპოვებას , არაპირდაპიერი ძალისმიერი მეთოდებით როგორიც არის მომხრე ჯგუფების

12

Iran's Influence in Afganistan (Alireza Nader, Ali G. Scotten, Ahmad Idrees Rahmani, Robert Stewart,)
Iran's Positive Economic Influence Iran's Anti-U.S. Policies in Afghanistan Iran's Military Aid to Afghan Insurgents edition 2014 pp12-16
https://www.rand.org/content/dam/rand/pubs/research_reports/RR600/RR616/RAND_RR616.pdf

დაფინანსება , ასიმეტრიული ბრძოლის წარმოება , ჰიბრიდული ომის წარმოება , იდეოლოგიური და რელიგიური გავლენის მოხდენა, მეზობელი ქვეყნების სხვადასხვა ჯგუფებზე, დიდი საფრთხეებიდან გამომდინარე ირანისთვის მნიშვნელოვანია პერიფერიის ათვისება რათა დაიცვას ცენტრალური ბირთვი თავისი ქვეყნის. უსაფრთხოების თვალსაზრისით. ირანს აქვს უმარავი გამოწვევა პირველ რიგში მტრულად განწყობილი რეგიონალური მეზობლები და ასევე დიდი სახელმწიფოებისგან მომავალი საფრთხეები რომლებიც აქტიურად ცდილობენ ირანის შიდა პოლიტიკაში სხვადასხვა ბიძგების შეტანას რაც აისახება ირანის უსაფრთხოებაზე , სწორედ აქედან გამომდინარე ირანიც საპასუხოდ განსაზღვრავს საგარეო პოლიტიკას ირანის შინიტური მრწამსიდან გამომდინარე ფორმირდება ირანის უსაფრთხოების პერსეპექტივა, ირანს ძრითადად სუნიტი მეზობლები აკრავს გარასს, მეზობლებთან კონფლიქტი არ არის მხოლოდ რელიგიური იდენტობიდან გამომდინარე ის სცდება ამას და წარმოშობს სხვადასხვა სახის ინტერესთა კონფლიქტებს, ორი დიდი რეგიონალური ძალა ,თურქეთი და საუდის არაბეთი, კონკურენციას უწევენ ირანს რეგიონალური ჰეგომონიისთვის ბრძოლაში, ასევე ბაზრების ათვისებაში და კულტურულ ექსპანსიას რეგიონის ზოგიერთ ქვეყანაში, ირანს მზარდი გავლენა ერაყში , ლიბანში , იემენში და სირიაში, განგაშის ზარს რეკავს მრავალი ქვეყნის დედაქალაქში, სადაც ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლები ირანს უფრო საშიშად თვლიან ვიდრე თვლიდნენ თავისი არსებოის ყველაზე ძლიერ პერიოდში ISIS-ს;. ომის შემდეგ განადგურებული ავღანეთი და ერაყი მის აღმოსავლეთ და დასავლეთ საზღვარზე წარმოადგენს ირანის უსაფრთხოებისთვის გამოწვევას. ამ ორ ქვეყანაში შეიარაღებული კონფლიქტები და არასტაბილურობა წლების შემდეგ გახდა, ნარკოტიკების, კონტრაბანდის და ლტოლვილტა მასობრივი შემოდინების მიზეზი. ამასთან ერთად ირანისთვის გარდაუვალი საფრთხე არის სუნიტური ექსტრემისტების წინსვლა , როდესაც ISIS-მა დაიპყრო მოსული, ერაყში მათი ძალები ირანის დასავლეთ საზღვრთან დაახლოებით 30 კილომეტრში იყვნენ განთავსებული. სუნიტი ბოევიკი ექსტრემისტები **, როგორიცაა**

ვაჰაბები და სალაფები , საფრთხეს უქმნიან ირანის რეგიონალურ უსაფრთხოებას. ავღანეთში, ირანიის შიიტური ხელისუფლების მხარდაჭერის მიუხედავად , ქვეყნის შიგნით გამოირჩევიან გულგრილობით ირანის ჩარევასთან, ანალიტიკოსების მტკიცებით, ბევრი ახალგაზრდა, განათლებული ჰაზარს არ აქვს ნდობა და მიიჩნევენ, რომ ირანმა შექმნა ეთნიკური სექტობრივი განყოფილებები. ირანულმა ელემენტებმა მილიონობით დოლარი გადაუხადეს Loya Jigras-s წევრებს. საბოლოო ჯამში ვერ მოხერხდა თავიდან აეცილებინა წინააღმდეგი ორმხრივი უსაფრთხოების ხელშეკრულება (BSA) ავღანეთსა და აშშ-ს შორის.

ირანი როგორც ყურის წამყვანი ძალა, რომელიც ერთდროულად ემსახურება როგორც დამაკავშირებელი ხიდი ხმელეთიდან ზღვაზე მისი Shanghai Cooperation Organization (SCO) კავშირი ემსახურება როგორც მის ეროვნულ უსაფრთხოების ინტერესებს, SCO-ს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს უსაფრთხოების და ეკონომიკურ-რეგიონალურ საკითხებში, რომლის მთავარი დანიშნულებაა ითამაშოს თვალსაჩინო როლი მგრძნობიარე სტაბილურობის საკითხებთან მიმართებაში, მას შემდეგ, რაც ავღანეთი იქნა მიღებული როგორც დასაკვირვებელი ქვეყანა , მათ შორის დაკვირვება მიმდინარეობს (ირანზე , ბელარუსიაზე და მონღოლეთზე) მისი მუდმივი წევრები შეშფოთებული არიან (ჩინეთი, ინდოეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი, რუსეთი, პაკისტანი, ტაჯიკეთი და უზბეკეთი) ეთნიკური ძალადობის და ექსტრემიზმის გავრცელების მრავალჯერადი საფრთხის გამო რომელიც მოდის ავღანეთიდან, ირანის გრძელი საზღვარების გათვალისწინებით ავღანეთთან და ტრადიციული გავლენა ქაბულში, კორდინირებული, თუნდაც კოლექტიური, რეგიონალური ძალისხმევა SCO-ს ფარგლებში გამოწვევების გადაჭრა უფრო მეტ წილად ავღანეთში ნატოს შემდგომ პერიოდში იქნება შესაძლებელი. სინამდვილეში, ირანს საკუთარი ინტერესების SCO-ს უსაფრთხოების მიღმა . ეს არის კულტურული და ეკონომიკური გავლენა შუა აზიის რეგიონში. მნიშვნელოვანია ირანის საგარეო პოლიტიკის მეთოდები რომელიც გამომდინარეობს SCO-კავშირიდან რომელიც ირანისთვის ემსახურება ახალ რეგიონალიზმს. პრეზიდენტი როჰანი და საგარეო საქმეთა

მინისტრი ჯავად ზარიფი, მიყვებიან თავის დოქტრინულ ჩანაწერებს ავღანეთში შუამავლებთან დაკავშირებით. SCO-ს წევრები კიდე უფრო ახლოვდებიან ბირთვულ საკიტხთან დაკავშირებით რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან საკითხს ჯგუფში შესვლისას, საერთაშორისო სანქციები უკავშირდება ირანის ბირთვულ პროგრამას ამიტომ მისი წევრობა ამ კავშირში არ არის მოწონებული სხვა შემავალი სახელმწიფოების მხრიდან , მაგრამ თუ საკითხი მოგვარდება , მაშინ გახდება წევრობა ბევრად უფრო სავარაუდო. რადგან ბირთვულ განვითარებას აქვს უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტი, და SCO –ს წევრებს ამ შემთხვევაში უფრო მეტად გაუჩნდებათ ინტერესი მის წევრობასთან დაკავშირებით რადგან ეს იქნება საშუალება უფრო მეტად დაიცვან რეგიონში აგრესია ნატოს კოალიციისგან. ირანის სპარულმა საინფორმაციო სააგენტომ ხელი შეუწყო

SCO-ს წევრებს გამოეხატათ ანტი ამერიკული აგრესიული მოქმედებები, SCO-მ აქტიურად დაიწყო ამერიკის როლის შეწამვლა აშშ-ს როლის აზიაში,. ამ ორგანიზაციის წევრები ფიქრობენ რომ ამერიკის პოლიტიკა აზიაში მკაცრი იყო და მომავალი გეგმები ემსახურება ამერიკის ინტერესების და გავლენის სფეროს შემცირებას. რუსეთი აქტიურად უჭერს მხარს ირანის წევრობას , რადგან ირანი ამ ორგანიზაციას მისცემს დიდ ძალას ევრაზიის ყველაზე მძლავ ორგანიზაციას და გახდება იგი ძალაუფლების ცენტრი გლობალურ პოლიტიკაში. ირანმა გასულ წლებში მჭიდრო კავშირები შექმნა ავღანეთთან უსაფრთხოების და ეკონომიკური თვალსაზრისით, ახალი კავშირებისთვის ავღანეთის პრეზიდენტი აშრატ განნი 2015 წელს აპრილში ეწვია თეირანს ორი ქვეყნის ურთიერთობის და თანამშრომლობის . პრეზიდენტი განნი სწრაფად ცდილობდა ხელი მოეწერა ავღანეთი - აშშ-ს უსაფრთხოების პაქტისტვის შესაძლო ზიანის თავიდან აცილების მიზნით. თალიბებთან ურთიერთობის დაახლოების მცდელობასთან ერთად საუდის არაბეთის და პაკისტანის შუამავლად გამოყენებამ თეირანის შეშფოთება გამოიწვია. ირანში განის ვიზიდის დროს თეირანის კონკურენტებს შეშფოთება არ გამოუხატავთ , ირანი, ავღანეთის ერთ-ერთი მთავარი მომხრე იყო ბოლო წლები განმავლობაში ირანის

მთავრობის მცდელობა დაამყაროს მეგობრული კავშირი ავღანეთთან ორივე ქვეყნისტვის აუცილებელია. აშშ-ს ევროკავშირისა და გაეროს მიერ დაწესებული მასობრივი სანქციების გამო ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით , დიდი ზიანი მიაყენა ირანის , თეირანი უსაფრთხოების უფრო მეტ კავშირებს ეძებს როგორც ავღანეთთან, ასევე პაკისტანთან , ასევე იყვნენ ირანის წინააღმდეგ მოქმედი ჯგუფები რომლებიც მოქმედებდნენ პაკისტანის და ავღანეთის ტერიტორიასთან ახლოს , ირანი ამბობდა რომ ამ ორმა ქვეყანამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მათ წინააღმდეგ , თეირანი გეგმავდა ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებთან (ANSF) ერთად ტერორისტების წინააღმდეგ საერთო ოპერაციას რომელიც ვერ შესრულდა შეუთანხმებლობის გამო იმ მაშტაბით რა მაშტაბსაც ეს ოპერაცია ისახავდა. [13]

2.2. ირანის გეოსტრატეგია აშშ-ს სამშვიდობო ოპერაციის პირობებში

ირანის სასტიკად ეწინააღმდეგება ნატოს ამჟამინდელ გრძელვადიან გეგმებს და მიზნებს, ირანული თეოროკრატია ხელს უწყობს მმართველობის სისტემას , რომელიც ფუნდამენტალურად ეწინააღმდეგება ძირითად ინტერესებს და ფასეულობებს, რომელზეც დაარსდა ნატოს ალიანსი. ეს განსაკუთრებით ეხება ადამიანის ძირითად უფლებებს , როგორიცაა წამების და სიკვდილით დასჯის სისტემატიური გამოყენება, სიტყვის თავისუფლება, რელიგისს თავისუფლება და მშვიდობიანობის პრინციპების დაცვა თანაცხოვრების საერთაშორისო სისტემაში. სიმართლე რომ ვთქვათ, ირანი

[13] Study on security Cooperation in the Heart of Asia Region (Addendum : Country Profiles)– 1) Security Threats in the Heart of Asia Region 2) Existing Security Cooperation Mechanisms in the Heart of Asia Region 3) Obstacles to effective Security Cooperation in the HoA Region 4) Opportunities and incentives for intensified Security Cooperation 5) Promising policy options for the HoA countries 21 September Revised 2015 pp.45-50

მეორე სახელმწიფოა რუსეთის შემდეგ რომელიც ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნის ალიანს , ეს არც ისე გასაკვირია როდესაც ამ ორ ისტრიულ მტერს შორის მოხდა ურთიერთობის დათბობა 1990 წლებში რადგან ორივე სახელმწიფო განიხილავს ნატოს როგორც ნომერ პირველ მტერს. თუ ნატოს სურს გააგრძელოს შემდეგი წლებიც წარმატებულად მან აუცილებლად გავლენა უნდა მოახდინოს თეირანზე. ირანი მომავალშიც იქნება ნატოსთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, პირველი ცხადია რომ ნატოს ალიანსის ინტერესია მიაღწიოს ყოვლის მომცველ სამშვიდობო შეთანხმებას ისრაელსა და მის არაბულ მეზობლებს შორის , ირანისთვის არ წარმოადგენს საიდუმლოს რომ მის წინააღმდეგ ხდება აშშ-ს მხრიდან ახლო აღმოსავლეთში სამშვიდობო პროცესების დაფინანსება. 1978-79 წლებში რევულუციის შემდეგ , ირანი აქტიურად ცდილობდა შეეფერხებინა ისრაელის განთავსება მაჰმადიანურ სამყაროში , რომელსაც იგი აღიქვამს როგორც მტკივნეულ მემკვიდრეობის გაგრძელებას დასავლეთის იმპერიალიზმის. მეორე ირანი არის ერთადერთი ქვეყანა რომელსაც აქვს საერტო საზღვარი ნატოსთან , ნათლად და არაერთხელ გამოაცხადა თავისი მტრული განზრახვა , სულ მცირე ერთ-ერტი ალიანსის წევრის მიმართ ალიანსში ცივი ომის დროს , ნორვეგია და თურქეთი იყვნენ მხოლოდ ორი წევრი ალიანსი საბჭოთა კავშირის საერტო ფიზიკურ საზღვართან , ხოლო ვალდებულება ჩრდილოეთ ნორვეგიის ნატო-ს ფლანგის დაცვა სიმბოლური მიზანი იყო, ვიდრე სამხედრო რეალისტური მიზანი იმ დროისთვის უდიდესი სამხედრო კომპლექსის წინააღმდეგ , მიუხედავად ამისა მან გაგზავნა ძლიერი მესიჯი , რომლის თანახმადაც ალიანსის ვალდებულება მიიღეს რომ იცავდნენ თავის ტერიტორიას. მომავალში ნატოს ყველაზე რეალური ტერიტორიული საფრთხე იქნება თურქეთის აღმოსავლეთ მეზობლებიდან , თურქეთის შესაძლო ინტეგრაციით ევროკავშირში, ქურთული პრობლემა აღმოსავლეთში, სავარაუდოდ ,უფრო სერიოზულად გახდება არასტაბილურობის წყარო, ვიდრე წარსულში, ტრადიციული ჩახშობის ნების მეთოდები მიუწვდომელი გახდება თურქეთის ცენტრალური მთავრობისთვის, ასევე დავას გამოიწვევს წყლის ის მცირე რესურსები რომელიც ამჯამად თურქეთის მიერ კონტროლდება, გახდება უფრო

სადავო რადგან წლის რეგიონალურ მოხმარების დონის ზრდასთან ერთად მკვეთრად გაიზრდება მოსახლეობის რაოდენობა. შეერთებული შტატები დააჩქარებს ირანის რეგიონალურ მიღწევების და გავლენის შესუსტებას, იქიდან გამომდინარე ,რომ თეირანი არასდროს ყოფილა ასეთი ძლიერი შუა აღმოსავლეთში. მაგრამ ირანის ძლიერი ხელი არ არის მხოლოდ მისი წარმატებული სტრატეგიული ქცევის ანარეკლი, ეს ასევე წარმოიშვა მისი ოპონენტების მიერ არასწორად მიღებული რეგიონალური პოლიტიკის შედეგად. მაგალითად , საუდის არაბეთის კატასტროფულმა სამხედრო და პოლიტიკურმა კამპანიებმა სირიაში, იემენში, ყატარსა და ლიბანში, დაანგრიეს (რიადის) ტრადიციული გავლენა ირანის პოზიციების ამაღლების დროს. ამგვარი პოლიტიკა წახალისდა აშშ-ს მიერ „ Leading from behind“ პოლიტიკას, რამაც ზოგიერთ არაბული სახელმწიფოს შორის ბევრი სააგენტო გამოიწვა ამერიკული უსაფრთხოების ქოლგისკენ. არაბული კამპანიების წარუმატებლობამ გააძლიერა ირანის მეთაურობით ,,წინააღმდეგობის ღერძი,, არნახული მასშტაბით. ირანს ახლა ემუქრება აშშ-ს უფრო ორგანიზებული ძალისხმევა, შექმნას რეგიონალური გარემო „არაბული ნატო“ შუა აღმოსავლეთის სტრატეგიული ალიანსი (MESA).

პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა თანამდებობის დაკავების დღიდან სხვადასხვა, ზოგჯერ ურთიერთსაწინააღმდეგო მესიჯები გაგზავნა. მისი ანტიირანული რიტორიკა და ერთის მხრივ პოლიტიკა, მისი პარალელური მოთხოვნით, მეორეს მხრივ, ირანის ლიდერებთან უპირობო შეხვედრები, წინააღმდეგობრივი ჩანს. როგორც სინგაპურში შეერთებული შტატების და ჩრდილოეთ კორეის ლიდერებს შორის სამიტი მიგვითითებს, ეს წინააღმდეგობები, ფაქტობრივად , შეიძლება იყოს იგივე მონეტის ორი მხარ. სწორედ ამ მიზეზით ხდება, რომ ვაშინგტონში და შუა აღმოსავლეთში ნერვიულობენ , ტრამპის მხრიდან უპირობო დიალოგის შეთავაზებაზე. ირანის მოწინააღმდეგეებს მაინც უნდა აღაფრთოვანებდეთ ის ფაქტი, რომ ბოლო დროინდელი საუბარი აშშ-ს MESA-ს შექმნაზე სუნიტი რვა ქვეყნიდან . აშკარა მიზანია ირანის წინააღმდეგ მოქმედება, ყოველ შემთხვევაში, თეირანის აზრით, ეს ეწინააღმდეგება აშშ-ს პრეზიდენტის შეთავაზებას .

აშკარაა ,რომ ტრამპის ეპოქაში უფრო ორგანიზებული ,,ზურგიდან წამყვანი“ პოლიტიკა ჩანს . იმის ნაცვლად რომ საუდისს არაბეთს სთხოვონ რომ ისწავლონ „შუა აღმოსავლეთის ირანთან გაზიარება“ აშშ-ს პრეზიდენტი აწყობს ანტი-ირანულ ფრონტს, რომელიც , მიზნად ისახავს რეგიონში თეირანის აქციების განადგურებას . მაგრამ არაბული განსხვავებების გადალახვაში წარმატების დაშვება და ახალი კოალიციის შექმნა, როგორც ჩანს , გრძელ ვადიან სტრატეგიაზე გათვლილი დარტყმაა. მაგალითად , MESA-ში შეყვანილი ზოგიერთი არაბული ქვეყანა ირანთან უფრო ახლოსაა ვიდრე საუდის არაბეთთან, მაგალითად ომანი და ყატარი, ზოგი კი - მაგალითად , ქუვეითი ცდილობს ნეიტრალური იყოს. ამრიგად , ვაშინგტონის ახალი პოლიტიკა , რამდენად გაამართლებს მოვლენებს რთული სათქმელია , ფაქტია რომ ირანი საკმაოდ მშვიდად ხვდება MESA-ს იდეას და არ გამოხატავს არანაირ შეშფოთებას ამ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლოა კონტრ გეგმაზე მუშაობს და ამ ალიანისის ბორბალი მის სასიკეთოდ შემოატრიალოს , საკითხავია შექმნის შემთხვევაში რა ბერკეტები ექნება ამ ორგანიზაციას რითიც გავლენის მოპოვებას შეძლებს რადგან აქ შემავალი ქვეყნების ნაწილი უფრო მეტად ორიენტირებულია ირანზე ვიდრე საუდის არაბეთზე , მაგრამ ფაქტია ისიც რომ აშშ თავისი სამშვიდობო ოპერაციების პირობებში ყველა მხრივ ცდილობს ირანისთვის მთელი რიგი პრობლემების შექმნას , მაგრამ ირანის დარტყმებიც საკმაოდ მტკივნეულია , რომელიც ხშირ შემთხვევაში ასიმეტრიულია , სწორედ ასეთი მტკივნეუნლი დარტყმის შედეგი იყო ის რომ აშშ- მ 2020 წლის 3 იანვარს მოკლა ყასემ სულეიმანი რომელიც საკმაოდ დიდ პრობლემას უქმნიდა პირდაპირ თუ არაპირდაპირ შეერთებულ შტატებს , ამან ომის ზღვარზე გაატარა ეს ორი ქვეყანა და ურთიერთობები უფრო მეტად დაძაბა , რა მოხდება, თუ ყველანაირი შანსი საწინააღმდეგოდ წარიმართება, MESA თუ, წინ

წაიწევს ოქტომბერში ჩატარებული ამერიკულ-არაბული სამიტის შემდეგ? ამას შესაძლოა მოყვეს.[14]

- პირველი აშშ-ს ახალმა პოლიტიკამ შეიძლება გაამძაფროს სექტანტური განხეთქილება შუა აღმოსავლეთში. მიუხედავად იმისა, რომ ეს განხეთქილება საგრძნობლად გაფართოვდა ბოლო 15 წლის განმავლობაში, ტრამპის ადმინისტრაციის პოლიტიკამ შესაძლოა ირანთან მიმავალი რეგიონის შიიტები შეაფერხოს ყოველ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება შეერთებულ შტატებსა და მის სუნიტურ პარტნიორებს.
- მეორე , რვა ავტოკრატიული რეჟიმის ჩართვა გააზრებულ ახალ სამხერდო გარემოში თვითგამორკვევის მცდელობაა. როგორც არაბულმა გაზაფხულმა ცხადყო, შუა აღმოსავლეთში „ავტოკრატიული სტაბილურობის“ განვითარების პოლიტიკის აღდგენა არ არის მდგრადი წარმატების რეცეპტი.

2003 წლის 19 მარტს ამერიკულმა საკრუიზო რაკეტებმა დაარტყა ბაღდადს, რაც იყო ამძრავი მაღალი ინტენსივობის და ზუსტი მსვლელობის სერიის საწყისი. სამ კვირაში აშშ-ის მეთაურობით საერთაშორისო კოალიციამ დაიპყრო ერაყის დედაქალაქი და ეფექტურად დაასრულა ისეთი რეჟიმი , რომელსაც ირანი რვა წლის განმავლობაში ებრძოდა ირან-ერაყის ომის დროს, კონფლიქტი რომელმაც დიდიად დააზიანა ირანის ეკონომიკა. თვეების განმავლობაში , ირანი აქტიურად ახორციელებდა ჰიბრიდული ომის სტრატეგიულ გეგმებს , რომელიც მიზნად ისახავდა ერაყში აშშ-ს მიზნების იმედგაცრუებას, თეირანი ერთდროულად ცდილობდა ერაყის პოლიტიკური დინამიკის შეცვლას ირანის სასარგებლოდ. ამ კამპანიამ , გადაინაცვლა სამხედრო დოქტრინაში , რომელმაც დაადასტურა ირანის ჩვეულებრივი სამხედრო სისუსტე და

[14] Nils Jordet Ph.D. Candidate The Fletcher School of Law and Diplomacy Tufts University Explaining the Long-term Hostility between the United States and Iran: A Historical, Theoretical and Methodological Framework 2014. pp.4-14

